პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის
1920 წლის
3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979
წელი
კვირა
24
ივნისი
№ 145
(17490)
□
ფასი
2 კაპ.

შემტევი, ქმედითი სიტყვა

განვითარების ყველა ეტაპზე პარტია ზრუნვასა და ყურადღებას არ აკლებდა საბჭოთა პრესას, უსახავდა ზუსტ ორიენტირს, წარმართავდა მის საქმიანობას კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ყველაზე რთული პრობლემების გადასაწყვეტად.

სავსებით ბუნებრივია, რომ ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების თანამედროვე ეტაპზე კვლავ დადგა დღის წესრიგში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, პრესის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის აქტუალური პრობლემები. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ ახლახან მიღებულ საეტაპო მნიშვნელობის დადგენილებაში — „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ უაღრესად ნათლად, მკაფიოდ არის განსაზღვრული ის ამოცანები, რომლებიც პრესის წინაშე დგას განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების ისტორიულ მონაპოვართა დამაჯერებელი ასახვისათვის, ნაჩვენებია ის გზები და მთავარი მიმართულებანი, რომელთა საშუალებით კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს პრესის, როგორც კოლექტიური პროპაგანდისტის, აგიტატორისა და ორგანიზატორის როლი.

ამასთანავე დადგენილებაში ხაზგასმით არის მითითებული, რომ დღეს ჟურნალისტურ საქმიანობაში შეურიგებლად უნდა ვეკიდებოდეთ ფორმალიზმის, შტამპისა და რუტინის, ულიმღამო აზრისა და უკულტურობის ყოველგვარ გამოვლინებას, რომ დახვეწილ პუბლიცისტურ ოსტატობას ორგანულად უნდა ვუხამებდეთ მაღალ იდეურ-ზნეობრივ დონეს, ფართო გონებრივ ჰორიზონტს, პრინციპულობასა და საქმის ბოლომდე მიყვანის უნარს. „მასობრივი ინფორმაციის ორგანოებს, — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, — ხშირად არ ჰყოფნით საამისო უნარი, რომ ცოცხალი ენით, გასაგებად გააშუქონ და გაუწიონ პროპაგანდა საუკეთესო მიღწევებს, ცალკეული მშრომელების, მთელი შრომითი კოლექტივების მოწინავე გამოცდილებას. თანაც გააშუქონ ისე, რომ ნათელყონ ამ გამოცდილების დედაარსი, დააინტერესონ მილიონობით ადამიანი, ხელი შეუწყონ მის ფართო, პრაქტიკულ გავრცელებას“.

დადგენილებაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ჟანრობრივი მრავალფეროვნების, სტილის, ენის, გამოსვლების ოპერატიულობის დიდმნიშვნელოვან საკითხებს, იმას, რომ „გაზეთებს, ჟურნალებს უნდა ჰქონდეთ თავიანთი „სახე“ ძირითადი თემების თავიანთი წრე“...

როდესაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მაღალ მოთხოვნათა დონეზე ვაანალიზებთ რესპუბლიკური პრესის, განსაკუთრებით კი მისი ყველაზე მასობრივი და მრავალრიცხოვანი რაზმის — საქალაქო და რეგიონალური გაზეთების მიერ ამ მხრივ გაწეულ საქმიანობას, გულწრფელად უნდა ვაღიაროთ, რომ თვითდამშვიდების არავითარი საფუძველი არა გვაქვს.

ხშირად გაზეთების ფურცლებზე სისტემატური, შეურიგებელი, გამიზნული ბრძოლა არ წარმოებს ჩვენს ცხოვრებაში ჯერ კიდევ შემორჩენილი, სოციალიზმისადმი მტრული, მახინჯი გადმონაშთების — მექრთამეობის, მომხვეჭელობის, მფლანგველობის, ლოთობის, ბიუროკრატიზმის, ადამიანებისადმი უსულგულო დამოკიდებულების, შრომის დისციპლინისა და საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევების წინააღმდეგ.

იშვიათად ნახავთ კონკრეტული მისამართის მქონე მძაფრ, პრობლემურ მასალებს, მაქსიმალურად არ არის გამოყენებული პრესის საზოგადოებრივი ძალა, მთელი ჟურნალისტური არსენალი, ხშირად იბეჭდება უფერული, ზერელე მასალები, რომლებიც წვრილმან, უმნიშვნელო ამბებს ეხება, არა აქვს ღრმა სოციალურ-აზრობრივი დატვირთვა, ვერ იზიდავს მკითხველს. სწორედ ამ საკითხებს ეხება ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში გამოქვეყნებული სტატია — „მიზანი და მისამართი“.

ზოგიერთი რაიონული, საქალაქო თუ რესპუბლიკური გაზეთის გაფორმება და შინაარსი საგრძნობლად ჩამორჩა თანამედროვეობას, მკითხველის გაზრდილ მოთხოვნებს, არა აქვს მკაფიოდ გამოხატული ინდივიდუალური სახე, ნაკლებია ადგილობრივი ცხოვრების ამსახველი სტატიებისა და კორესპონდენციების ხვედრითი წილი, ზერელედ, სუსტად, დაბალპროფესიულ დონეზე შუქდება რაიონის, ქალაქის შრომითი კოლექტივების ყოველდღიური საქმიანობა. ცოტაა მასალები ადამიანთა ცოცხალ, კონკრეტულ მუშაობაზე, იმათზე, ვისი გარჯითა და თავდადებით იქმნება საერთო წარმატება. სწორედ ამის შედეგია, რომ ბევრი საქალაქო და განსაკუთრებით რაიონული გაზეთი ტყუპებივით ჰგავს ერთმანეთს.

აი, მაგალითად, გაზეთ „კომუნიზმის დროშის“ (ამბროლაური) ერთ-ერთი ნომერი. ამ დღეს გამოქვეყნებული 21 მასალიდან 9 (თითქმის ნახევარი!) ადგილობრივ თემატიკას არ ეხება. გაზეთის მეოთხედი უჭირავს ჟურნალ „ნაუკა ი რელიგიიდან“ გადმობეჭდილ მასალას — „ბავშვები და რელიგია“, ნახევარი გვერდი კი სტატიას საერთაშორისო თემაზე...

გაზეთ „ახალი თიანეთის“ (თიანეთი) ფურცლებზე, ამ რამდენიმე ხნის წინათ ორი სარდაფი ჰქონდა დათმობილი ორხევის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის წერილს „სამეურნეობათაშორისო კოოპერაცია და აგროსამრეწველო განვითარების ინტეგრაციის ობიექტური აუცილებლობა“. ავტორი კმაყოფილდება ზოგადი, საყოველთაოდ ცნობილი თეორიული დებულებების გამეორებით, არც ერთი კონკრეტული მაგალითი, არც ერთი ციფრი არ მოჰყავს რაიონის კოლმეურნეობების ცხოვრებიდან, არ განსაზღვრავს ამოცანებს, არ უჩვენებს საკოლმეურნეობათაშორისო კოოპერაციის განვითარების სიკეთეს ადგილობრივი პირობების მიხედვით. ცხადია, ასეთ წერილს ცოტა მკითხველი ჰყავს.

ამგვარი მაგალითების მოყვანა ბევრი რაიონული გაზეთიდან შეიძლება.

დღეს ტელევიზია, რადიო, ცენტრალური პრესა ოპერატიულად იტყობინებიან ქვეყნისა თუ რესპუბლიკის ცხოვრებაში მომხდარ უმნიშვნელოვანეს ამბებს. ინფორმაციის საშუალებების ხელმისაწვდომობა, რაც ტექნიკის სწრაფი განვითარების პირობებში გახდა შესაძლებელი, რაიონული პრესის წინაშე განსაკუთრებული სიმწვავით აყენებს ამოცანას — მეტი ყურადღება დაუთმოს ადგილობრივი ცხოვრების რაც შეიძლება ფართო, ღრმა კვალიფიციურ ასახვას, მით უფრო, რომ დღეს ყველა ქალაქის, ყველა რეგიონის ცხოვრებაში ბევრი საინტერესო ამბავი ხდება. მატულობს და სულ უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მათი შრომითი წვლილი მთლიანად რესპუბლიკის მიღწევა-წარმატებაში.

საბჭოთა პრესა, უწინარეს ყოვლისა, დიდმნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობაა. ღრმად პატრიოტული, ინტერნაციონალური სულისკვეთებით, აზრითა და მიზნებით იგი, წარმოადგენს რა პარტიის მძლავრ იარაღსა და მებრძოლ თანაშემწეს, დაუცხრომლად უნდა ზრუნავდეს საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი ინიციატივის, ძალისა და ენერგიის, აზრისა და ისტორიული შემოქმედების სწორად წარმართვისათვის.

ამრიგად, პრესას ძალზე დიდი სამუშაო მოელის და მით უფრო საჭიროა, რომ დღეს პარტიული კომიტეტები ღრმად სწვდებოდნენ, სრულყოფდნენ ბეჭდვითი ორგანოებისადმი ხელმძღვანელობას, ეხმარებოდნენ საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტაში, გააზრებულად გეგმავდნენ სარედაქციო კოლექტივების საქმიანობას, იყენებდნენ პრესას, როგორც პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ცხოვრებისადმი ხელმძღვანელობის მძლავრ საშუალებას.

თანამედროვე ეტაპზე, ისევე როგორც ყოველთვის, პრესის საქმიანობის, მთავარი მიმართულებებისა და შინაარსის ძირითადი ფორმები განსაზღვრულია უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტებით — სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, ყრილობის შემდგომდროინდელი პლენუმების დადგენილებებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში მოცემული დასკვნებითა და დებულებებით, ისინი თითოეულ სარედაქციო კოლექტივს ავალებენ მეტი პასუხისმგებლობით, ენერგიულად და ინიციატივიანად მოეკიდონ შემოქმედებითს ძიებას, მაქსიმალურად გამოიყენონ პრესის საზოგადოებრივი ძალა, სისტემატური, გამიზნული ბრძოლა გააჩაღონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით პრესის წინაშე დასახული მეტად საპატიო ამოცანის განსახორციელებლად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საკვების დამზადებას — პარტიული კომიტეტების შეუნელებელი ყურადღება

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების პირველი მდივნების თათბირი, რომელზეც განიხილეს მეცხოველეობისათვის საკვების წარმოებისა და დამზადების საკითხები.

თათბირმა მოისმინა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის ო. ვარძელაშვილის ინფორმაცია, რომელშიც კრიტიკულად იყო გაანალიზებული საკვებდამამზადებელი კამპანიის მიმდინარეობა, გამოვლენილი იყო მთელ რიგ რაიონებში სენაჟის, ბალახის ფქვილისა და სხვა საკვების დაგროვების ტემპის შენელების მიზეზი, აღნიშნული იყო ბალახის თიბვისა და შესანახად საკვების ჩადების ტექნოლოგიის უხეში დარღვევის ფაქტები.

არსებულ ნაკლოვანებათა დაძლევის მიზნით დასახულ ღონისძიებათა შესახებ ინფორმაციები გააკეთეს პარტიის ბოგდანოვკის, გალის, დუშეთის, კასპის, საგარეჯოს, თეთრიწყაროს, ხელვაჩაურის, წალკის, ცხინვალის, ქალაქ თბილისის საბურთალოს რაიონის რაიკომების პირველმა მდივნებმა ვ. ქოჩოიანმა, ო. ზუხბაიამ, ჯ. ქერესელიძემ, ვ. კვალიაშვილმა, მ. მეზვრიშვილმა, ა. გონაშვილმა, ს. იმნაიშვილმა, კ. სალიამ, ფ. ჯიოევმა, რ. გოგლიძემ, პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. რუხაძემ, საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის მეორე მდივანმა გ. დავითაშვილმა. მათ აგრეთვე წამოაყენეს მთელი რიგი საკითხები, რომლებიც ეხება რესპუბლიკური ორგანოების კომპეტენციას.

თათბირზე აღინიშნა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ადგილობრივი პარტიული კომიტეტების ორგანიზაციულ-პოლიტიკური ღონისძიებანი ხელს უწყობენ საკვების დამზადების სწრაფ ტემპს, რომელიც, საერთოდ, უსწრებს შარშანდელს. მაგრამ ხაზგასმით აღინიშნა მთელ რიგ რაიონებში საკვებდამზადების კამპანიის სერიოზული ნაკლოვანებებიცა და ხარვეზებიც.

ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს წინადადება მიეცათ გააძლიერონ კონტროლი საკვების დამზადების მიმდინარეობისა და მისი ხარისხისადმი. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამ უპირველესი მნიშვნელობის სამუშაოთა მოწყობის დონისათვის პერსონალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ პარტიული კომიტეტების პირველ მდივნებს, რომლებიც რეგულარულად ანგარიშს ჩააბარებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და საკვების დამზადების რესპუბლიკური შტაბის სხდომებს. თათბირმა მოითხოვა გაძლიერდეს თითოეული თანამდებობის პირის პასუხისმგებლობა საკვების წარმოებისა და დაგროვების — ამ საერთო-პარტიული, საერთო სახელმწიფოებრივი საქმის ხელმძღვანელობის ყველა რგოლში.

თათბირის შედეგები შეაჯამა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. შევარდნაძემ.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ს. ხაბეიშვილი. (საქინფორმი).

კოოპერატორთა მნიშვნელოვანი ამოცანები

23 ივნისს საქართველოს უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში მუშაობა დაამთავრა რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციის XVIII ყრილობამ.

სამომხმარებლო კოოპერაციის ყველა რგოლის საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ ყრილობაზე წინადადებანი წამოაყენეს ფასანაურის სადაბო საბჭოს თავმჯდომარემ ე. ბურდულმა, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ასლანიკაშვილმა, ცენტროსოიუზის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ნესტერენკომ, სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. გავაშელმა, პოეტმა რ. მარგიანმა და სხვებმა.

ყრილობაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ზ. ჩხეიძე.

ყრილობამ აირჩია საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის ხელმძღვანელი ორგანოები და სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა მეათე ყრილობის დელეგატები. ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს კ. შავიშვილი.

ბოლო დღეს ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ჭითანავა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ვაჭრობის განყოფილების გამგე შ. ბერიანიძე. (საქინფორმი).

ხუთწლედების სიკეთე

რამაც აამაღლა მიწათმოქმედების კულტურა



ცნობილია, რომ საქართველოს რელიეფი მთაგორიანია. გლეხობა მიწის მწვავე სიმცირეს განიცდიდა. 1922-1926 წ.წ. სტატისტიკური მონაცემებით, რესპუბლიკის საერთო ტერიტორია 6.935.000 ჰექტარს შეადგენდა, საიდანაც სახნავ-სათესად, ბაღ-ვენახების გასაშენებლად და სათიბად მხოლოდ 1.350.000 ჰექტარის გამოყენება შეიძლებოდა. დანარჩენი 1.301.000 ჰექტარი სრულიად გამოუსადეგარი იყო.

ტყეებსა და ბუჩქნარებს 2.542.000 ჰექტარი ეკავა, საძოვრებს—964.000 ჰექტარი და სოფლის საქონლის საძოვარ ადგილებს —781.000 ჰექტარი. განხილული პერიოდისათვის საქართველოში სახნავ-სათესად გამოსადეგი მიწა ერთ სულ სოფლის მოსახლეზე დაახლოებით 0,6 ჰექტარი მოდიოდა. მიწის სიმცირეს უფრო მეტად დასავლეთ საქართველოს გლეხობა განიცდიდა. აქ გლეხობის ერთ სულ მოსახლეზე 0,3 ჰექტარზე მეტი არ იყო.

საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებთან შედარებით საქართველოს სოფლის მშრომელები მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის მხრივ ბოლო ადგილზე იდგნენ, რუსეთის სოციალისტური რესპუბლიკის გლეხობასთან შედარებით კი თითქმის 6-ჯერ ნაკლებ მიწას ფლობდნენ.

ეს ფაქტი ნათლად მეტყველებს, თუ რამდენად აუცილებელი იყო მელიორაციის — ნიადაგის ძირეული გაუმჯობესების საშუალებით საქართველოში სასარგებლო მიწების ფონდის გაზრდა გამოუყენებელი მიწების, ნაწილობრივ საძოვრებისა და სოფლის საქონლის გასარეკი ადგილების ხარჯზე. საარქივო მასალებით დასავლეთ საქართველოში, მაგალითად, თითოეულ ჰექტარ მიწას მელიორაციის შედეგად შეეძლო საგრძნობლად გაედიდებინა მოსავალი და 50 ფუთი სიმინდის ნაცვლად 70 ფუთი მოეცა.

მაგრამ მოსავლიანობის გადიდებისათვის მარტო ეს არ კმაროდა. საჭირო იყო პრაქტიკაში შემოგვეღო ძვირფასი კულტურების თესვა და ამასთან გლეხობის განკარგულებაში არსებული მიწებიდან მიგვეღო გადიდებული მოსავალი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მაშინ დიდი მასივების დაჭაობების შედეგად მასობრივად იყო გავრცელებული მალარია.

მოსახლეობის მალარიით მასობრივი დაავადების ფაქტებს უფრო მეტად ვხვდებოდით კოლხეთის მიდამოებში, სადაც დაჭაობებული ფართობი 213 ათას ჰექტარს უდრიდა. ამის გამო სოფლები გადაშენების გზაზე იყო დამდგარი.

მიწების მორწყვის უზრუნველყოფის ღონისძიებებთან ერთად გადაუდებელი ამოცანა იყო აგრეთვე ჭაობიანი ადგილების ამოშრობა. ამიტომაც იყო, რომ ვ. ი. ლენინი, რომელიც დიდ ყურადღებას აქცევდა ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებს, საქართველოსა და მთლიანად ამიერკავკასიის მიწათმოქმედების და მეცხოველეობის წინსვლის აუცილებელ პირობად, ერთ-ერთ მთავარ ღონისძიებად საირიგაციო საქმის განვითარებას თვლიდა. ამასთან დაკავშირებით ბელადი კავკასიის კომუნისტებისადმი 1921 წლის 14 აპრილს გამოგზავნილ წერილში წერდა: „ერთბაშად ეცადეთ გააუმჯობესოთ გლეხთა მდგომარეობა და დაიწყოთ მორწყვის... დიდი სამუშაოები. მორწყვა ყველაზე უფრო გარდაქმნის მხარეს, აღორძინებს მას, დაასამარებს წარსულს, განამტკიცებს სოციალიზმზე გადასვლას“.

მის რჩევა-დარიგებას და პირდაპირ მითითებას უდიდესი სახელმძღვანელო მნიშვნელობა ჰქონდა როგორც მთელი კავკასიის, ისე საქართველოსათვის, სადაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მომენტისათვის ძალზე განუვითარებელი იყო ირიგაცია. მანამდე არსებული რამდენიმე პრიმიტიული არხით სულ რაღაც 95 ათასი ჰექტარი მიწა ირწყვებოდა. საუკეთესო მიწების დიდი ნაწილი კი, მოურწყველობის გამო, გამოუყენებელი თუ გამოყენებული, მეტად მწირი იყო.

მელიორაციის საქმის ფართოდ განვითარებას შეეძლო ხელი შეეწყო სოფლის მეურნეობის კულტურული წარმოებისათვის, გაედიდებინა სათესი ფართობები, აემაღლებინა და გაეუმჯობესებინა მოსახლეობის ჯანმრთელობა.

საქართველოს კომუნისტებმა დაუყოვნებლივ მოჰკიდეს ხელი სოფლის მეურნეობის განვითარებას და ერთბაშად ფართო მასშტაბით დაიწყეს საირიგაციო სამუშაოები — არსებული სარწყავი არხების რეკონსტრუქცია და ახალი სისტემების მშენებლობა. გლეხობა დიდი კმაყოფილებით გამოეხმაურა საირიგაციო სამუშაოების გაძლიერების თაობაზე პარტიის მოწოდებას. ათიათასობით გლეხი პირადი შრომით, გამწევი ძალით, ურმებით, სამუშაო იარაღით აქტიურად მონაწილეობდა არხების გაყვანაში. უაღრესად ფართო, ნამდვილად სახალხო ხასიათი მიიღო სამელიორაციო მშენებლობამ საქართველოში. 1922 წელს გლეხობამ 200.000 შრომადღე მოახმარა ამ საქმეს და 12.000 ურემი გამოიყვანა სამუშაოდ. უკვე 1922 წელს მორწყული მიწების ნაწილზე დაითესა პურეული და სიმინდი, ბაღჩეული, ბოსტნეული და სხვა კულტურები.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ საქართველოში საირიგაციო მშენებლობისათვის ნახევარი მილიონი მანეთი გამოყო. ამავე მიზნებისათვის რესპუბლიკის მთავრობამ თავისი ბიუჯეტიდან 1922-1928 წლებში 8.430.000 მანეთი დახარჯა. ამასთან დაკავშირებით სერგო ორჯონიკიძემ ჯერ კიდევ 1926 წლის 6 მაისს თბილისში გამართულ ამიერკავკასიის გაფართოებულ პარტიულ თათბირზე, სადაც შეაჯამა მორწყვის საქმის განვითარებაზე ლენინის მითითებათა განხორციელების შედეგები, განაცხადა: „საირიგაციო სამუშაოთა დარგში, მივყვებით რა ამხანაგ ლენინისაგან მიღებულ დირექტივას, ჩვენ არა მარტო აღვადგინეთ ძველი, მიტოვებული სარწყავი სისტემის ქსელი, არამედ ავაშენეთ და შენდება მთელი რიგი ახალი არხები, რომლებიც ადიდებენ გამოსადეგი მიწების ფართობს“.

სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის წინ, 1928 წლისათვის სულ საქართველოში მორწყვა სჭირდებოდა 481.800 ჰექტარს, ამოშრობა — 21.600 ჰექტარს, ხოლო გასარწყავება — 41.000 ჰექტარ მიწას.

პირველი ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული იყო ალაზნის, მაშველის, სამგორის, ელდარის, ყარაიაზის, ტირიფონისა და სხვა არხებისა და საირიგაციო სისტემების მშენებლობა, შირაქის ველის გასარწყავება, კოლხეთის ჭაობების ამოშრობა და სხვა.

ხუთწლედში საქართველოს ვარგისი მიწების ფონდი მორწყვის შედეგად უნდა გაზრდილიყო 111.000 ჰექტარით, დაჭაობებული ადგილების ამოშრობით — 14.000 ჰექტარით და გასარწყავებით — 30.000 ჰექტარით.

რესპუბლიკის მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უდიდესი შრომა გასწიეს პირველი ხუთწლედით დასახულ სამელიორაციო სამუშაოთა წარმატებით შესრულებისათვის. გეგმით გათვალისწინებული 155.000 ჰექტარის ნაცვლად სასარგებლო მიწების ფონდი 207.000 ჰექტარამდე გაიზარდა.

მარტო ალაზნისა და ტირიფონის არხების საშუალებით, რომლებიც პირველ ხუთწლედში აშენდა შუა ქართლის დაბლობებსა და ალაზნის ველზე, 38.950 ჰექტარი მიწა მოირწყო. მათი აგებისათვის სახელმწიფოს მიერ გაღებულმა თანხამ 11,5 მილიონ მანეთს გადააჭარბა.

საბჭოთა ხუთწლედების წლებში რესპუბლიკაში გარდა დასახელებული არხებისა, მწყობრში ჩადგა მაშველის, აჯამეთის, ტაშისკარის, ელდარის, კულაშ-ღანირის, ბაღდადის, სამთავისის, კეხვის, ვანათის, დიღმის, სოლანლუღის, ქუთაისისა და სხვა არხები და სარწყავი სისტემები. შემდგომში აიგო აგრეთვე ტექნიკურად მეტად რთული და სრულყოფილი სამგორის სარწყავი სისტემა, რომელსაც შეუძლია იმაზე მეტ ფართობს მიაწოდოს მაცოცხლებელი ტენი, ვიდრე მენშევიკების ბატონობის პერიოდში მთელ საქართველოში ირწყვებოდა. პირველი ხუთწლედის მანძილზე კოლხეთის დაბლობზე დაშრეს 14.000 ჰექტარი, ქობულეთის რაიონში — 1.870 ჰექტარი, შირაქის ველზე გასარწყავდა 30.000 ჰექტარი.

1921-1951 წლებში სარწყავი მიწების ფართობი საქართველოში 95.000 ჰექტარიდან 288.000 ჰექტარამდე გადიდდა, ხოლო 1961 წლისათვის ამ ციფრმა 337.000 ჰექტარს მიაღწია, რაც სამჯერ აღემატება რევოლუციამდელს. ამჟამად საქართველოში მელიორირებულია 543.000 ჰექტარი, აქედან 392.000 ჰექტარი სარწყავია და პურის, სიმინდის, ხილის, ყურძნის, ჩაის, ციტრუსების, შაქრის ჭარხლის, კარტოფილისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვ მოსავალს იძლევა.

საირიგაციო ქსელისა და სარწყავი მიწათმოქმედების განვითარებამ დიდი ცვლილებები გამოიწვია რესპუბლიკის ეკონომიკაში, ქართველი ხალხის ყოფაში, მკვეთრად აამაღლა მიწათმოქმედების კულტურა, ხელი შეუწყო მეცხოველეობის განვითარებას. მელიორაციამ დიდი როლი შეასრულა სოფლად საკოლმეურნეო მოძრაობის გამარჯვებასა და ქალაქად მრეწველობის განვითარებაში. დაეხმარა მოსახლეობას ჯანმრთელობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში.

შ. ბერუაშვილი,
საქართველოს სსრ სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტაციის ცენტრალური სახელმწიფო არქივის დირექტორის მოადგილე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

სურათებზე: ზემოთ — მათხოჯის სარწყავი არხის გახსნისადმი მიძღვნილი მიტინგი. წინა პლანზე (მარცხნიდან); მ. ტოროშელიძე, ფ. მახარაძე და სხვები; ქვედა სამგორის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობა.

საუბარი კრემლში

22 ივნისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო ბირმის კავშირის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი უ მინგ მაუნგი, რომელიც ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად იმყოფება საბჭოთა კავშირში.

საერთაშორისო პრობლემების განხილვისას ხაზგასმით აღინიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. კარტერის ვენის შეხვედრას და სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის ხელშეკრულების ხელმოწერას მშვიდობისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების დამკვიდრებისათვის. გამოითქვა საბჭოთა კავშირისა და ბირმის ორმხრივი მისწრაფება გააჯანსაღონ საერთაშორისო ვითარება, მოსპონ დაძაბულობის კერები აზიასა და მსოფლიოს სხვა რაიონებში. (საკდესი).

24 ივნისი საბჭოთა ახალგაზრდობის დღეა

სამშობლოს სიჭაბუკე

საქართველოს კომკავშირელები, ქალიშვილები და ჭაბუკები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ახალგაზრდობა თავიანთ ტრადიციულ დღესასწაულს სახალხო-სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე მნიშვნელოვანი წარმატებებით ხვდებიან. რესპუბლიკის ახალგაზრდობა მთელ თავის ძალ-ღონეს, ენთუზიაზმს და შთაგონებას ახმარს კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზული გეგმების შესრულებას.

მათ უხმობს შრომითი ზაფხული

სულ რამდენიმე დღე დარჩა ქართველი სტუდენტობის შრომითი ზაფხულის დაწყებამდე. მის სხვადასხვა მერიდიანზე წელს იშრომებს რესპუბლიკის 15 ათასზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი. ისინი შეასრულებენ 20 მილიონი მანეთისაზე მეტ სამუშაოებს. ყამირის პირველმკვლევართა ღირსეული მემკვიდრენი, ისინი იშრომებენ როგორც საქართველოში, ისევე შორს მის ფარგლებს გარეთაც. უკვე დადებულია სამეურნეო ხელშეკრულებები მიმღებ ორგანიზაციებთან. მიმდინარეობს სტუდენტური რაზმების მებრძოლთა მისაღებად ობიექტების მზადყოფნის შემოწმება.

— მათ თითქმის ნახევარს შეადგენენ მშენებელ სტუდენტთა რაზმები, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სტუდენტური სამშენებლო რაზმების რესპუბლიკური შტაბის მეთაურმა ა. ზოდელავამ. — ისინი დაეხმარებიან ენგურჰესის, თბილისის მეტროპოლიტენის, კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძის, კაჭრეთის პურის პროდუქტების კომბინატის, დუშეთისა და ცხაკაიას რაიონების მეცხოველეობის დიდი კომპლექსების, საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საბავშვო ბაღების მშენებლებს, რესპუბლიკის რვა ათასი ქალიშვილი და ჭაბუკი შევა სტუდენტურ რაზმებში, რომლებიც შეავსებენ ჩვენი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შრომით კოლექტივებს, იმუშავებენ მომსახურების სფეროში.

რუსეთის სფს რესპუბლიკის არაშავმიწანიადაგიანი ზონა და მურმანსკის ოლქი, კამაზი და ქალაქი გაგარინი — აი ქვეყნის ის მნიშვნელოვანი მშენებლობები, სადაც იშრომებს 2.490 მშენებელი-სტუდენტი. მათი უმრავლესობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის, სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის უმაღლესი სასწავლებლების წარგზავნილები არიან.

შრომითი ზაფხულისათვის მზად არიან აგრეთვე რესპუბლიკის სტუდენტთა ინტერნაციონალური რაზმები. წელს ისინი გაემგზავრებიან თავიანთ მეგობრებთან ბულგარეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში. ამავე დროს ბულგარელი, უნგრელი, გერმანელი, ჩეხოსლოვაკიელი სტუდენტები თავიანთ ქართველ კოლეგებთან ერთად ინტერნაციონალურ რაზმად გაერთიანებული იშრომებენ გაგრის ზონის ალახაძის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობაში.

ყველა სტუდენტურ რაზმში გაჩაღდება დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობა. 20 ივლისს, 3 და 16 აგვისტოს რაზმებში მოეწყობა დამკვრელური შრომის დღეები, რომელთა დროსაც გამომუშავებულ თანხებს გადარიცხავენ ქალაქ გაგარინის მშენებლობისა და კეთილმოწყობის ფონდში, იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ მებრძოლ ხალხებთან სოლიდარობის ფონდში და გმირი ვიეტნამელი ხალხისათვის დახმარების ფონდში.

შტაბი მუშაობას შეუდგა

დასავლეთ ციმბირის შეკვეთების დროულ და ხარისხოვან შესრულებაზე კონტროლს იკისრებენ შტაბები, რომლებიც იქმნება რესპუბლიკის კომკავშირის ყველა საოლქო კომიტეტთან, აგრეთვე იმ საწარმოთა კომკავშირის კომიტეტებთან, რომლებიც ამ რეგიონს აწვდიან თავიანთ ნაწარმს. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის რესპუბლიკურმა შტაბმა, რომელიც შეუწყობს ხელს დასავლეთ ციმბირის ნავთობისა და გაზის მრეწველობის განვითარებას. ეს შტაბი უკვე შეუდგა მუშაობას.

რესპუბლიკურმა შტაბმა შეფობა იკისრა ტიუმენელ მენავთობეთა ბავშვებისადმი, რომლებიც ამჟამად ცხვარიჭამიის პიონერულ ბანაკში ისვენებენ. უახლოეს დღეებში მათთვის მოეწყობა ექსკურსია თბილისის ღირსშესანიშნავ ადგილებში.

●●

ახალი შრომითი წარმატებებით ხვდება საბჭოთა ახალგაზრდობის დღეს თბილისის საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებლის“ მეთაური საწარმოს—კიროვის სახელობის ქარხნის ახალგაზრდობის მრავალეროვანი კოლექტივი.

სურათზე: კომუნისტური შრომის საამწყობო საამქროს მოწინავე ახალგაზრდა მუშების ჯგუფი. მარცხნიდან: უბნის ოსტატი ბ. ჯაბიევი, მღებავი მ. კვიციანი, მიმღები ა. გავაშელი, გამანაწილებელი მ. გარიევა, ამწყობ-ზეინკალი ლ. ცომაია, გამანაწილებელი მ. უტიაშვილი, ამწყობ-ზეინკალი ი. სარალიშვილი და წუნმდებელი გ. გრიგორიანი.

ხ. კილაძის ფოტო.

საგაზეთო თემაზე

მიზანი და მისამართი

ყოველ დილით ჩვენი ქვეყნის დიდსა თუ პატარა ქალაქში, დაბასა თუ მუშათა დასახლებაში ხალხმრავალი რიგი დგება „სოიუზპეჩატის" კიოსკებთან. ყველა მოუთმენლად ელის გაზეთის ახალ ნომერს, ჩქარობს გადაათვალიეროს ჯერ კიდევ საღებავშეუმშრალი სტრიქონები.

რა იწვევს ასეთ დიდ ინტერესს ბეჭდვითი სიტყვისადმი? უწინარეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, ის, რომ ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე ყოველდღიურად მართლაც რომ დიდი, საყოველთაო-სახალხო სჯა-ბაასი იმართება საბჭოთა ადამიანების შრომითს მიღწევებსა და წარმატებებზე, პერსპექტივებზე, პრობლემებზე, აქტუალურ საშინაო თუ საგარეო ამბებზე.

ჩვენში უყვართ გაზეთი, სჯერათ მისი. ხალხში ხშირად გაიგონებთ: „გაზეთში წავიკითხე", „ჩემი თვალით ვნახეო დაბეჭდილი...". ზოგჯერ ასეც ამბობენ, „რედაქციას ვაცნობოთ და საქმეც მოგვარდებაო".

საბჭოთა პრესის ძალის, ავტორიტეტისა და კომპეტენტურობის მუდმივი წყაროა პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიური მზრუნველობა და ხელმძღვანელობა. ეს კიდევ ერთხელ ნათლად დადასტურდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმზე, რომელმაც დიდი ყურადღება დაუთმო პრესის შემდგომი სრულყოფის საკითხებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში ნათლად და კონკრეტულად ითქვა, რომ ხშირად საგაზეთო მასალებს აკლია დამაჯერებლობა და სერიოზული განზოგადებანი, ისინი გადატვირთულია ზოგადი ფრაზებით, რომლებიც არაფერს არ მატებს არც გონებას და არც სულს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ ხაზგასმით მიუთითა, რომ ლ. ი. ბრეჟნევის ეს სიტყვები **„ამ დარგში გარკვეული ძვრების მიუხედავად, სამწუხაროდ, მთლიანად შეიძლება მივაკუთვნოთ ჩვენი რესპუბლიკური ჟურნალისტიკის პრაქტიკას".**

უაღრესად სერიოზული როლი შეასრულა პრესამ იმ დიდ, მართლაც რომ რევოლუციური მნიშვნელობის გარდაქმნებში, რომლებიც უკანასკნელ წლებში განახორციელა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა; პრესამ დიდი წვლილი შეიტანა მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებაში, ნეგატიურ მოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლისათვის საზოგადოებრივი აზრის კონსოლიდაციაში.

ამასთან ერთად დასამალი არ არის და ამას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელ დიდმნიშვნელოვან დადგენილებაში — „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ", რომ მოთხოვნები იზრდება, ამოცანები რთულდება და მიღწეული დონე უკვე აღარ არის საკმარისი. **დღეს იდეოლოგიური საქმიანობის ისეთ დიდმნიშვნელოვან უბანს, როგორიც პრესაა, მოეთხოვება ჰქონდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე რთული პროცესების არა მარტო დანახვის, არამედ მათი მეცნიერული შეფასებისა და, რაც მთავარია, სწორად წარმართვის უნარი.**

როდესაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის საეტაპო, ახლახან გამოქვეყნებული დადგენილების მაღალ მოთხოვნათა მიხედვით ვაფასებთ ჩვენი რესპუბლიკური, განსაკუთრებით კი რეგიონალური პრესის საქმიანობას, გულახდილად უნდა ვაღიაროთ, რომ იგი ჯერ კიდევ სრულად არ შეესაბამება დადგენილების სულისკვეთებას, რესპუბლიკის მშრომელთა განათლებისა და კულტურის გაზრდილ დონეს, დღევანდელი მკითხველის სულიერ მოთხოვნილებებს.

პრესის ბევრმა ორგანომ ფეხი ვერ აუწყო რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების მთავარ მიმართულებებს, ვერ გააჩაღა აქტიური ბრძოლა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მიერ უკანასკნელ წლებში აღებული კურსის აქტიური მხარდაჭერისათვის, რომელიც ითვალისწინებს უკომპრომისო, პრინციპულ ბრძოლას ჩვენს ცხოვრებაში ჯერ კიდევ არსებული ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ.

რეგიონალური და საქალაქო გაზეთების ფურცლები ხშირად შევსებულია შტატის მუშაკთა მდარე მასალებით, რომლებიც არცთუ იშვიათად პრიმიტიული, თემატურად ღარიბი და ერთფეროვანია, არ წარმოადგენს რედაქციის კოლექტიური პუბლიცისტური ძიებისა და შრომის შედეგს, აკლია საზრიანობა და გამომგონებლობა, კომპოზიციითა და შინაარსით ერთმანეთს ჰგავს.

ამ თვალსაზრისით საფიქრალი და საზრუნავი, სამწუხაროდ, საჭიროზე მეტი გვაქვს. ამიტომ ის, რაც დღეს გვინდა ვთქვათ, არც ცინკოგრაფიის უქონლობით არის გამოწვეული და არც სასათაურო შრიფტის სიმცირით. მთავარი და გადამწყვეტი, როგორც ჩანს, მაინც ის უნდა იყოს, რომ მართლა გვიყვარდეს გაზეთი, ვამაყობდეთ ჩვენი პროფესიით და, რაც მთავარია, პატივს ვცემდეთ მკითხველს, რომელმაც გაზეთი უნდა წაიკითხოს...

ერთ საგაზეთო წერილში შეუძლებელია შევეხოთ ყველა იმ პრობლემას, სათქმელად რომ დაგროვდა, რომლებსაც დღეს პრესის განსაკუთრებული ზრუნვა და მეურვეობა ესაჭიროება. ამიტომ მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე გავამახვილებთ ყურადღებას.

გადავწყვიტეთ, რომ ამჯერად კონკრეტულად არ დავასახელოთ ის გაზეთები, რომელთა ფურცლებიდან ამოვიწერეთ მასალები და ციტატები, რადგან ეს ნაკლოვანებანი საერთო სენია, მეტნაკლებად თითქმის უმრავლესობას ახასიათებს. დარწმუნებული ვართ, ყველა რედაქცია იცნობს საკუთარ თავსა და საკუთარ ხელწერასაც...

ავიღოთ, თუნდაც, ისეთი უმნიშვნელოვანესი და სერიოზული საკითხი, როგორიც არის ახალი ადამიანის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა თაობის აღზრდა. ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების თანამედროვე ეტაპზე ეს საქმე სახელმწიფოებრივი ზრუნვის რანგშია აყვანილი. ახალგაზრდობის ზნეობრივი სახის სრულყოფა ყველას ერთნაირად აწუხებს და აღელვებს. ბუნებრივია, რომ აღზრდის თემაზე გამოქვეყნებულ მასალებზე რედაქციამ განსაკუთრებული სიფრთხილით, დაკვირვებითა და გულისხმიერებით უნდა იმუშაოს, ავტორებად ისეთი ადამიანები შეარჩიოს, რომლებსაც ახალგაზრდობა მართლაც ყურს უგდებს, უჯერებს, ავტორიტეტად მიაჩნია. საბედნიეროდ, ასეთი ადამიანები მრავლად გვყავან. სინამდვილეში კი რა ხდება? როგორც ზოგიერთი რესპუბლიკური, ისე საქალაქო და რეგიონალური გაზეთების ფურცლებზე უკანასკნელ ხანს სოკოსავით მომრავლდა აღზრდის თემაზე გამოქვეყნებული წერილების რაოდენობა. თითქმის ყოველდღიურად შეხვდებით რუბრიკებს — „აღზრდის თემაზე", „ეს ყველას გვეხება", „მოზარდი ჩვენი საზრუნავია", „მორალის თემაზე" და მრავალი სხვა. ყველას ვერც ჩამოთვლი, სამწუხარო ის არის, რომ მცირე გამონაკლისის გარდა სწორედ ამ თემაზე დაწერილი მასალები გამოირჩევა საოცარი გულუბრყვილობით, არაფრისმთქმელი ფრაზებით, დილეტანტიზმით. ბევრი მათგანი იმის ნიმუშადაც კი გამოდგება, თუ როგორ შეიძლება გავაბიაბრუოთ ასეთი საჭირბოროტო საკითხი.

> ჩვენ არ ვაწარმოებთ საქმიან, ულმობელ, ჭეშმარიტად რევოლუციურ ომს ბოროტების კონკრეტულ მატარებლებთან. ჩვენ ნაკლებად ვზრდით მასებს ცხოვრების ყველა დარგის ცოცხალი, კონკრეტული მაგალითებითა და ნიმუშებით, ეს კი პრესის მთავარი ამოცანაა.
>
> ვ. ი. ლენინი

ჩანს, აღზრდის თემაზე წერის საღეღელი ბევრსა აქვს აშლილი და ალბათ სწორედ ამის შედეგია, რომ გაზეთის ფურცლები ლამის არის წალეკოს რუბრიკამ — „ვისაუბროთ აღზრდის ხელოვნებაზე". კეთილი და პატიოსანი, ვისაუბროთ.

აი ერთი მაგალითი, წერილი რუბრიკით — „მორალის თემაზე", ავტორი, და, რა თქმა უნდა, რედაქციაც, რომელმაც ეს წერილი გამოაქვეყნა, სავსებით სერიოზულად მოუთხრობენ მკითხველს შემთხვევაზე, რომელსაც ავტორი ერთ-ერთ სახალხო სასამართლოში შესწრებია. არჩევდნენ ალიმენტის ურჩი გადამხდელის საქმეს, რომელიც დიდხანს იმალებოდა, მაგრამ მაინც მიაგნეს ციმბირის შორეულ ქალაქში. ამჯერად იგი მთელი ერთი წლის განმავლობაში სისტემატურად გზავნიდა ფულს, ხოლო შემდეგ სასამართლოს აცნობა: არასოდეს ცოლი და შვილი არა მყოლია, ალიმენტს რატომ მახდევინებთო? იგი მართლაც უდანაშაულო აღმოჩნდა. ამ გაუგებარი ამბის ფინალი ყალბი და ნაძალადევი პათოსით მთავრდება: „აქ თავი იჩინა საბჭოთა ადამიანის მაღალმა მორალურმა ღირსებამ — სიკეთის ნიჭმა და მან სასამართლოს განუცხადა — მართალია, არც ამ ქალს ვიცნობ და არც ამ ბავშვს, მაგრამ ფულის დაბრუნებაზე უარს ვაცხადებ, პირიქით კმაყოფილი ვარ, რომ შევძელი დავხმარებოდი ბავშვიან დედასო". განა ასეთი კურიოზული შემთხვევა გამოდგება საბჭოთა ადამიანის მაღალი მორალურ-ეთიკური თვისებების სადემონსტრაციოდ?!

გაზეთის თითქმის მთელი გვერდი აქვს დათმობილი წერილს სათაურით: „ჩამორჩენილ მოსწავლეთა საკითხისათვის". წერილის დასაწყისშივე ავტორი რატომღაც უიმედო, პესიმისტურ განწყობილებას გვიქმნის. მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენილობა „მუდმივი პრობლემაა" და, სპეციალისტების აღიარებით, მის წინააღმდეგ ბრძოლის რადიკალური საშუალებანი, თურმე, ჯერ კიდევ არ არის მოძებნილი. ავტორის აზრით, ჩამორჩენილ მოსწავლეთათვის დამატებითი მეცადინეობის მოწყობა, კონტროლის გაძლიერება, რჩევა-დარიგების მიცემა არამც თუ სარგებლობის მომტანი, არამედ ფსიქოლოგიურად მიუღებელი და მავნებელი ყოფილა, ამ „მოსაზრების" დასადასტურებლად ავტორს მოჰყავს ვინმე პიერონის სიტყვები და წერს: „...ჯერ კიდევ პიერონი აღნიშნავდა „ინტენსიური უსიამოვნების ემოციები არა მარტო ახლის დამახსოვრებას უშლის ხელს, არამედ ე. წ. რეტროაქტულ ამნეზიასაც იწვევსო".

არანაკლებ სერიოზული და მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც გაზეთების ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს და უშუალოდ არის დაკავშირებული აღზრდასთან, დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლაა. თემა უაღრესად აქტუალური, მწვავეა, რომელიც მოითხოვს საკითხის არსში ღრმად ჩაწვდომას, დანაშაულობათა წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრის მობილიზებას, შეურიგებლობის ატმოსფეროს შექმნას, უფრო ხშირად ჩვენი გაზეთები რატომღაც გულგრილი სტატისტიკოსებისა და მეთვალყურეების როლში გამოდიან. ამ თემაზე მასალების გამოქვეყნების ყველაზე გავრცელებული და „მტკიცედ დანერგილი" ფორმაა მილიციის განყოფილებებში და სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან ყოველგვარი ანალიზისა და შერჩევის გარეშე აღებული მასალები, რომლებსაც მაშინვე მოარგებენ ხოლმე მორალურად დიდი ხნის გაცვეთილ, დაშტამპულ რუბრიკებს — „ხულიგნებს არავითარი დანდობა", „მუქთახორა საშიში დამნაშავეა", „დანაშაული და სასჯელი", „ხორცმეტები", „კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ", რომლებიც წლიდან წლამდე, გაზეთიდან გაზეთში მოგზაურობს. რუბრიკების გათანადროულობაზე და ამ თემის გასაშუქებლად მრავალფეროვანი საგაზეთო ჟანრების გამოყენებაზე სრულიად რომ არ ვზრუნავთ, ეს კიდევ ნაკლები ცოდვაა იმასთან შედარებით, რაც ამ რუბრიკებით იბეჭდება.

იმის ნაცვლად, რომ სერიოზულად ვფიქრობდეთ და ვაანალიზებდეთ დანაშაულობათა გამომწვევ მიზეზებს, ვეთათბირებოდეთ ამ დარგის სპეციალისტებს, ფართოდ ვიყენებდეთ სოციოლოგიურ გამოკვლევებს, ვრაზმავდეთ საზოგადოებრივ აზრს, ამ თემაზე დაბეჭდილ მასალებს ახასიათებს საოცარი წვრილთემიანობა, შაბლონი, გაცვეთილი ფრაზები და სიტყვები...

ალკოჰოლიზმი რომ დანაშაულის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია, ყველასთვის კარგად არის ცნობილი. არც ამ თემაზე გამოქვეყნებული მასალებია გაზეთის ფურცლებზე, როგორც იტყვიან, სანთლით საძებარი, პირიქით — საკმარისზე მეტიც იბეჭდება, მაგრამ მათი შესრულების დონეც დაბალია. აი ასეთი „შეგონების" დამახასიათებელი მაგალითი მრავალმნიშვნელოვანი სათაურით: „ღვინო მტერიც — მოყვარეც"; წერილში ხანგრძლივი საუბარია საყოველთაოდ ცნობილ ჭეშმარიტებაზე, რომ მცირე რაოდენობით ღვინის სმა სასარგებლოა, ხოლო სისტემატური სმა "...იწვევს კიდურების კანკალს, აზიანებს კუჭ-ნაწლავს, იწვევს თმის ინტენსიურ ცვენასა და მამაკაცებში „მამაკაცობის შესუსტებას". უკანასკნელი სიტყვები ბრჭყალებში ალბათ იმიტომ ჩასვეს, რომ მართალი არ გეგონოთო. რაც ყველაზე საოცარია, ეს მასალა რედაქციას გერმანულიდან უთარგმნია, რა თქმა უნდა, წყაროს მიუთითებლად, აბა თქვენ თვითონ თუ მიხვდებით, საიდან არის თარგმნილიო.

უნდა გვახსოვდეს, რომ წუნდებული პროდუქციის გამოშვება მარტო საწარმოში როდი შეიძლება. ასეთი წერილები კი „ხარისხის ნიშანს" როდი იმსახურებენ, პირიქით, მკითხველის ირონიულ ღიმილს იწვევენ, რაც, ჩვენი აზრით, ბევრს არაფერს უნდა მატებდეს გაზეთის ავტორიტეტს.

ძალზე გულდასაწყვეტია, რომ როგორც ზოგიერთი რესპუბლიკური, ისე საქალაქო თუ რაიონული გაზეთების ფურცლებიდან უკანასკნელ ხანს უგზო-უკვლოდ გაქრა მკითხველისთვის ისეთი საინტერესო და პოპულარული საგაზეთო ჟანრები, როგორიც არის ფელეტონი, ნარკვევი, რეპორტაჟი, ჩანახატი. რა თქმა უნდა, ფელეტონის ან ნარკვევის დაწერა ძნელია, მაღალ ოსტატობას, გამოცდილებას, ნიჭსა და უნარს მოითხოვს. გაცილებით უფრო ადვილია უცხოური იუმორის გამოქვეყნება, რომელიც უკანასკნელ ხანს საოცრად გავრცელდა. ახლა უკვე ძნელი დასადგენია, მართლაც უცხოურია თუ არა ეს იუმორი, ან საკუთარი იუმორი რატომ აღარ მოგვწონს? ზოგიერთმა გაზეთმა ისე შორს შეტოპა, რომ ამ რუბრიკით საკმაოდ უხამს ანეკდოტებსაც კი ბეჭდავს, აი ასეთი „იუმორის" ნიმუში: „ლია და ომარი ტურისტებთან ერთად ლუვრში ჩავიდნენ! ომარი აქ შიშველი ქალის სკულპტურის წინ შეჩერდა, რომლის სამოსსაც მხოლოდ ლეღვის ფოთოლი შეადგენდა. იგი იმდენ ხანს იდგა, რომ ლიამ ჰკითხა:

— რას ელოდები, შემოდგომას?".

ნათქვამი სიტყვა, მით უმეტეს დაბეჭდილი, გასროლილ ისარსა ჰგავს, უკან ვეღარ დააბრუნებ. სწორედ ამიტომ არის საჭირო და აუცილებელი, რომ გაზეთში გამოქვეყნებულ თითოეულ სტრიქონს განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ. ნათლად გვქონდეს წარმოდგენილი აუდიტორია, რომლისთვისაც არის გამიზნული გაზეთის ნომერი, ვხედავდეთ ჩვენი მკითხველის „სოციალურ პორტრეტს", ვიცოდეთ ის ინტერესები, ფიქრი და საზრუნავი, რომელიც მას აღელვებს და ამოძრავებს. მხოლოდ ამ შემთხვევაში შევძლებთ შევასრულოთ ვ. ი. ლენინის მოწოდება ჟურნალისტებისადმი „...უფრო ახლოს ცხოვრებასთან. მეტი ყურადღება იმას, თუ მუშათა და გლეხთა მასა ნამდვილად როგორ აშენებს რაღაც ახალს თავის ყოველდღიურ მუშაობაში, მეტი შემოწმება იმისა, თუ რამდენად კომუნისტურია ეს ახალი".

ედ. სიხარულიძე,

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის სექტორის გამგე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

იდეოლოგიური ფრონტის მუშაკთა დასახმარებლად

დიდი წვლილი დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის საქმეში

სსრ კავშირი მშვიდობის მედროშეა.

საბჭოთა კავშირის ლენინური მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმიანობა პარტიის XXV ყრილობის საგარეო-პოლიტიკური კურსის განხორციელებისათვის.

სსრ კავშირის ბრძოლა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის.

სოციალისტური თანამეგობრობის ძმური მეგობრობა და შეკავშირება.

მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის რეალური ნაყოფი.

უომო მსოფლიო ხალხთა სანუკვარი ოცნებაა.

დაძაბულობის შენელება საერთაშორისო ურთიერთობის მაგისტრალური გზაა.

გამალებული შეიარაღების შეწყვეტა თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი და გადაუდებელი ამოცანაა.

განიარაღება დროის მოთხოვნაა.

საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის ბრძოლის საბჭოთა პროგრამა.

ვენის ხელშეკრულება მშვიდობის დამკვიდრების გზაა.

მე-2 ხელშეკრულება პოლიტიკური რეალიზმის, კეთილი ნების, გონივრული კომპრომისის შედეგია.

მე-2 ხელშეკრულების რეალისტურობა და კონკრეტულობა.

შეიარაღების ზრდის შეზღუდვიდან მისი შემცირებისაკენ.

საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესება ომის საფრთხის შემცირებისა და მშვიდობის განმტკიცების უმნიშვნელოვანესი პირობაა.

ვენის უმაღლესი დონის შეხვედრის მნიშვნელობა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის განვითარებისათვის.

საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობას — მტკიცე კონსტრუქციული საფუძველი.

მე-2 ხელშეკრულება ხელმოწერილია, განიარაღებისათვის ბრძოლა გრძელდება.

ბირთვული იარაღის წარმოების სრული შეწყვეტა და მისი მარაგის ლიკვიდაცია ხალხთა უზენაესი მიზანია.

ვის აძლევს ხელს „საბჭოთა სამხედრო საფრთხის" მითი.

ნატო იმპერიალისტური რეაქციისა და აგრესიის იარაღია.

იმპერიალიზმი, მილიტარიზმი, რევანშიზმი და ჰეგემონიზმი ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების მტრები არიან.

საბჭოთა კავშირის მშრომელები უდიდეს კმაყოფილებას გამოთქვამენ საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრის შედეგებით, მთლიანად და სავსებით იწონებენ საბჭოთა დელეგაციის საქმიანობას ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისა და პრეზიდენტ ჯ. კარტერის ვენის მოლაპარაკების შედეგები ახალ იმპულსს ანიჭებს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას. დადებულია ხელშეკრულება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ, რომელიც მოწოდებულია დაგვაცვაინოს ადამიანის უწმინდესი უფლება — სიცოცხლის უფლება. დიდი ნაბიჯი გადაიდგა წინ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის, მთელი საერთაშორისო პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღების გზაზე. საბჭოთა კავშირისათვის ეს ლოგიკური განგრძობაა იმ მშვიდობისმოყვარული საგარეო-პოლიტიკური კურსისა, რომელიც ჩვენი პარტიის ყრილობებმა განსაზღვრეს. ამ კურსის წარმატებანი საბჭოთა ადამიანებს ახალ ძალასა და ენერგიას მატებს კომუნისტური მშენებლობის დიადი ამოცანების განხორციელებაში.

ერთიანი პოლიტდღეების ორგანიზატორების, ლექტორების, მომხსენებლების, პოლიტინფორმატორების, აგიტატორების დასახმარებლად ქვეყნდება სანიმუშო თემატიკა.

იმპერიალისტური სახელმწიფოთა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი გამალებული შეიარაღების მოთავეა.

[illegible] მსოფლიო [illegible] პროგრესული ძალების [illegible].

[illegible] ქვეყნების საიმედო ფარია. სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შრომის სადარაჯოზე.

საბჭოთა ხალხის მიერ კომუნისტურ მშენებლობაში მოპოვებული წარმატებანი პლანეტაზე მშვიდობის დამკვიდრებისა და განმტკიცების დიდმნიშვნელოვანი პირობაა.

თავდადებული გარჯით დავამკვიდრებთ მშვიდობას, დავამშვენებთ დედამიწას.

1979 წელს დამკვრელური ფინიში!

ერთ წუთსაც არ მოვწყდეთ, გრამიც არ დავკარგოთ მოსავლის აღებისას!

აღვნიშნოთ ხუთწლედის დამამთავრებელი ეტაპი ერთსულოვანი დამკვრელური მუშაობით.

ჩვენი ძალა პარტიისა და ხალხის ერთობაშია.

საერთაშორისო ცხოვრება
დედამიწის ზურგზე

დაეთმობა საუკუნის პრობლემებს

ემზადებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიისათვის

ნიუ-იორკი, 22 ივნისი. (საქდესის კორ.). გამალებული შეიარაღების ალაგმვისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების, რასისტული რეჟიმებისა და კოლონიალიზმის ნაშთების მოსპობის პრობლემებს დაუთმობს ძირითად ყურადღებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXXIV სესია, რომელიც ნიუ-იორკში გაიხსნება 1979 წლის 18 სექტემბერს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნომ გამოაქვეყნა 121 კითხვისაგან შემდგარი სია, რომელიც უნდა შეიტანონ მორიგი ყოველწლიური სესიის დღის წესრიგში. მსოფლიო გაერთიანების წევრი 151 სახელმწიფოს წარმომადგენლები განიხილავენ შარშან გამართული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განიარაღების სპეციალური სესიის რეკომენდაციათა და გადაწყვეტილებათა განხორციელების მიმდინარეობას. როგორც ცნობილია, სესიის მთავარ დოკუმენტს საფუძვლად უდევს საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინადადებანი, რომელთა მიზანია ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილება.

დღის წესრიგში შეტანილია აგრეთვე საკითხები, რომელთა გამო ასამბლეის უკანასკნელ, XXXIII სესიაზე საბჭოთა კავშირმა გამოიჩინა ინიციატივები, რაც ყველამ ფართოდ მოიწონა. მათ შორისაა უატომო სახელმწიფოთა უშიშროების გარანტიების განმტკიცება. სსრ კავშირმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომიტეტის განსახილველად შეიტანა საერთაშორისო კონფერენციის პროექტი ამ თემაზე.

საბჭოთა კავშირს ეკუთვნის აგრეთვე განიარაღების მსოფლიო კონფერენციის, როგორც ყველაზე ავტორიტეტიანი ფორუმის მოწვევის იდეა, რომელმაც უნდა განიხილოს თანამედროვეობის ყველაზე მწვავე პრობლემა. ამ საკითხს განიხილავენ აგრეთვე XXXIV სესიის დელეგატები.

აფრიკაში, ახლო აღმოსავლეთში, ლათინურ ამერიკაში უატომო ზონების შექმნის შესახებ წინადადებათა მიზანი ის არის, რომ საიმედო დაბრკოლება აღიმართოს ბირთვული იარაღის გავრცელების გზაზე. ამ საქმეში პროგრესის მიღწევა გენერალურ ასამბლეაზე დისკუსიის მეორე დიდმნიშვნელოვანი თემაა.

ისევე როგორც წინა სესიებზე, მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მსოფლიოს უმეტესი დაძაბულობის რაიონებში მდგომარეობის განხილვას. დღის წესრიგის რამდენიმე პუნქტი ეძღვნება ახლო აღმოსავლეთის პრობლემებს. მათ შორის პალესტინელი ხალხის თვითგამორკვევის კანონიერი უფლების განხორციელებას, ოკუპირებულ არაბულ მიწებზე ისრაელის კოლონიზატორული პრაქტიკის გამოძიებას, ამ რაიონში კონფლიქტის ნამდვილი გადაწყვეტის გზების ძიებას. სესიაზე წარმოდგენილი იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოხსენებანი კვიპროსის პრობლემისა და სამხრეთ აფრიკის მდგომარეობის შესახებ.

კონტრაქტი გაწყვიტეს

თეირანი. 23 ივნისი. (საქდესი). ირანის ეროვნულმა სპილენძის მადნის კომპანიამ გაწყვიტა კონტრაქტი ამერიკის „ანაკონდის" ფირმასთან, რომელიც ითვალისწინებდა მაღაროებისათვის მოწყობილობის მიწოდებას. ფირმამ დაარღვია ხელშეკრულების პირობები, გააჭიანურა მიწოდების ვადები.

მფარველობენ

ტოკიო, 23 ივნისი. (საქდესი). აქ პეკინიდან ჩამოვიდა იენგსარი, ერთ-ერთი თავკაცი პოლ პოტის რეჟიმისა, რომელიც კამპუჩიელმა ხალხმა დაამხო. ამ არარსებული ადმინისტრაციის „წარმომადგენელი" შეხვდა იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრს ს. სონოდას. შეხვედრაზე იენგსარიმ განაცხადა, რომ იგი პოლ პოტთან ერთად განაგრძობს ბრძოლას სახალხო ხელისუფლების წინააღმდეგ. ს. სონოდამ, იუწყება კიოდო ცუსინის სააგენტო, თავის მხრივ, დაადასტურა, რომ იაპონიის მთავრობას განზრახული აქვს შეისწავლოს კამპუჩიის მეწაწყულად კუდამოძუებული ხროვის ნაშთების შესაძლო დახმარების საკითხი.

კარიკატურისტის თვალით

საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულების დადებით სრულიად აუცილებელი ნაბიჯი გადაიდგა, რაც კაცობრიობას თავიდან აცილებს ბირთვული ომის კატასტროფის საშიშროებას. (გაზეთებიდან).



საიმედო გამცილებელი

გ. ლომიძის ნახატი.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პროტესტი

ულან-ბატორი, 23 ივნისი. (საქდესი). როგორც მონცამეს სააგენტო იუწყება, მიმდინარე წლის 22 ივნისს ჩინეთის სამხედრო თვითმფრინავმა დაარღვია მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საჰაერო სივრცე მდინარე ხალხინ-გოლის რაიონში და, შეიჭრა რა 150 კილომეტრ სიღრმეზე ტამსაგ-ბულაკის მიმართულებით, გადაუფრინა ქვეყნის სასაზღვრო რაიონებს.

ჩინეთის სამხედრო თვითმფრინავის შეჭრა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში, ნათქვამია მონცამეს ცნობაში, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის განზრახ დარღვევის აქტია.

ამასთან დაკავშირებით მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ჩინეთის მხარეს პროტესტი განუცხადა და მოსთხოვა აღკვეთოს მომავალში ამგვარი მოქმედება.

იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია თბილისში

23 ივნისს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში მიიღეს იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ამ ქვეყნის მშენებლობის მინისტრი ჰეიდარ აბუ ბაქარ ალ-ათასი. დელეგაციის შემადგენლობაში შედიან იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკის სხვადასხვა დარგის ხელმძღვანელი მოღვაწეები.

დელეგაცია საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა სსრ კავშირის საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის მოწვევით, რომ განიხილონ საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ საბჭოთა კავშირ-იემენის შეთანხმებათა რეალიზაციასთან, აგრეთვე გრძელვადიან და ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე ამ თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივები.

იემენის წარმომადგენლებს მოგზაურობაში თან ახლავს იემენის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საელჩოს ეკონომიკურ საკითხთა მრჩეველი პ. ტ. ალხიმოვი.

დელეგაციის წევრებთან საუბრის დროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ი. ი. ქედიშვილმა ილაპარაკა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის შესახებ, რომელიც რესპუბლიკაში ხორციელდება, კაპიტალური მშენებლობის მასშტაბის შესახებ. მან ხაზი გაუსვა, რომ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგულ საბჭოთა ადამიანებს ახარებთ იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის წარმატებანი ახალი ცხოვრების მშენებლობაში. კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ სსრ კავშირსა და იემენის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის მტკიცდება და ვითარდება თანამშრომლობა.

ჰეიდარ აბუ ბაქარ-ალ-ათასმა განაცხადა, რომ მისი ქვეყნის ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ძალ-ღონე არ დაიშუროს საბჭოთა კავშირთან მეგობრობისა და ყოველმხრივი ურთიერთობის შემდგომი განმტკიცებისათვის. მან ილაპარაკა იმ ძმურ დახმარებაზე, რომელსაც სსრ კავშირი უწევს იემენის სახალხო რესპუბლიკას, დიდი გულთბილობით გამოეხმაურა იემენში ქართველ სპეციალისტთა ნაყოფიერ საქმიანობას.

დელეგაციის მეთაურმა დამსწრეთ გააცნო ამოცანები, რომლებსაც მისი ქვეყნის ხალხი წყვეტს იემენის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

საუბარს დაესწრნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები. (საქინფორმი).

მოკლედ

ყოველი მხრიდან

23 ივნისი

რომი. კომუნისტ დეპუტატთა ჯგუფმა მოითხოვა დაუყოვნებლივ შეიქმნას პარლამენტის კომისია „მოროს საქმის" გამოძიებისათვის, რომელიც შარშან ჩაიდინა ექსტრემისტთა ბანდამ — გაიტაცა და მოკლა ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ა. მორო.

ა. მოროს მკვლელობის გამოძიება უკვე 14 თვეა გრძელდება. დემოკრატიულ პარტიებს მიაჩნიათ, რომ ხელისუფალნი საკმაოდ აქტიურად არ იძიებენ ამ დანაშაულს. იტალიაში არსებული ტერორისტული ორგანიზაციები დღემდე არ არიან გაუვნებელყოფილნი და კვლავ ჩადიან პროვოკაციებს ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში.

● ●

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებულ შტატებში 25-მილიონიანი ზანგი მოსახლეობის მიმართ მწვავე დისკრიმინაციას კიდევ ერთხელ მოწმობს ამერიკის შეერთებული შტატების აღწერის ბიუროს მიერ გამოქვეყნებული მონაცემები შეერთებულ შტატებში ზანგთა ქონებრივი მდგომარეობის შესახებ. ბიუროს მიერ გამოცემულ მოხსენებაში მოყვანილი ცნობები ცხადყოფენ, რომ 1977 წელს ზანგის ოჯახის საშუალო შემოსავალი შეადგენდა თეთრკანიანთა საშუალო შემოსავლის მხოლოდ 57 პროცენტს.

ზანგთა ოჯახების თითქმის ნახევარი ძლივს ირჩენს თავს იმ შემოსავლით, რომელიც, თვით მთავრობის აღიარებით, არ კმარა ყველაზე ელემენტარული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

● ●

ტოკიო. „პროტესტს ვაცხადებთ ხელისუფალთა აგრარული პოლიტიკის წინააღმდეგ!" „ერთობლივი მეცადინეობით დავიცავთ ჩვენს ინტერესებს!" — ასეთი ლოზუნგებით ქალაქ მიოსში (ხიროსიმის პრეფექტურა) გაიმართა ქვეყნის სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსულ იაპონელთა მრავალათასიანი მიტინგი. მიტინგზე გამოსულმა გლეხთა კავშირების წარმომადგენლებმა სერიოზული შეშფოთება გამოთქვეს იაპონიის სოფლის მეურნეობის გაღრმავებული კრიზისის გამო. ამჟამად მას შეუძლია უზრუნველყოს სურსათზე ქვეყნის მოთხოვნილების 40 პროცენტზე ნაკლები. გლეხის ოჯახთა მხოლოდ მეოთხედს შეუძლია იარსებოს სოფლის მეურნეობაში შრომით.

„კომუნისტის"
კომენტარი

როდეზია:

მარიონეტები კინკლაობენ

ამ დღეებში როდეზიის პირველი შავკანიანი „პრემიერ-მინისტრი", „მისი უწმინდესობა" აბელ მუზორევა ევროპაში დასასვენებლად გამგზავრების სამზადისში იყო, როდესაც მოულოდნელად მორიგმა პოლიტიკურმა სკანდალმა იფეთქა აპრილის „არჩევნების" შემდეგ რის ვაი-ვაგლახით შეკოწიწებულ პარლამენტში. მმართველი პარტიის — გაერთიანებული აფრიკული ეროვნული საბჭოს 8 წევრმა-პარლამენტარმა ოფიციალურად განაცხადა, რომ გამოდის პარტიიდან და ამიერიდან ახალი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლნი იქნებიან პარლამენტში.

რატომ მოექცა ეს თითქოსდა არცთუ ისე მნიშვნელოვანი მოვლენა საერთაშორისო წრეების ყურადღების ცენტრში? უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ამ ფაქტს მიმომხილველები სამართლიანად მიიჩნევენ როგორც როდეზიის მრავალწლოვანი კრიზისის ეგრეთ წოდებული „მშვიდობიანი მოწესრიგების" ტაქტიკის ფიასკოს სიმპტომს. გავიხსენოთ, რომ „არჩევნებისა" და ა. მუზორევას მთავრობის შექმნის შემდეგ ზოგიერთები დასავლეთში ნაჩქარევად აცხადებდნენ, კრიზისი გადაჭრილია და როდეზიაში სტაბილური საშინაო-პოლიტიკური ვითარებააო.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეექმნა ამერიკის ადმინისტრაციას. ხელისუფლების სათავეში მისვლისთანავე კარტერმა საჯაროდ განაცხადა, რომ ტროპიკულ აფრიკასთან ურთიერთობის გაუმჯობესება მისი საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ მიზნად იქცეოდა. ინგლისელ ლეიბორისტთა მეშვეობით ცდილობდა თეთრი სახლი მოლაპარაკების გზით გადაეჭრა როდეზიის პრობლემა, მაგრამ, როდესაც გამოირკვა, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები ჯ. ნკომო და რ. მუგაბე მტკიცე პრინციპულ პოზიციას ადგანან და არ აპირებენ სმითთან გარიგებას, კარტერი რთული დილემის წინაშე აღმოჩნდა. თუ ამერიკა მხარს დაუჭერდა მუზორევას მთავრობას, ამით იგი ამერიკელი ზანგების აღშფოთებას გამოიწვევდა და საფრთხეს შეუქმნიდა შტატების უკანასკნელ დიპლომატიურ მიღწევებს მთელს აფრიკაში ხოლო საწინააღმდეგო პოზიციის დაკავებისას კონგრესთან მძაფრი შეტაკება მოელის.

ასეთ ვითარებაში ამერიკის მთავრობამ დაიწყო იმის „შესწავლა" თუ რამდენად კანონიერი იყო როდეზიაში „არჩევნები". კონსერვატორ სენატორთა აზრით ყველაფერი კანონის ფარგლებში მოხდა. თუმცა შეერთებული შტატების საafრიკო პოლიტიკის „მთავარ მეისრეს", ქვეყნის წარმომადგენელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ენდრიუ იანგს არ სჯერა არჩევნების კანონიერება.

გამართლდა იმათი წინასწარმეტყველება, ვისაც არ სჯეროდა, რომ მუზორევასათვის ხელისუფლების „გადაცემას" სამოქალაქო ომის დამთავრება მოჰყვებოდა. მიუხედავად ამისა მეთოდისტური ეკლესიის 54 წლის ეპისკოპოსი მუზორევა, რომელსაც ამერიკაში აქვს მიღებული განათლება, დაჟინებით ამტკიცებს (კარტერის ადმინისტრაციის აზრითაც კი გაუმართლებელია მისი ოპტიმიზმი), რომ როგორც კი შეერთებული შტატები გააუქმებს ეკონომიკურ სანქციებს, პატრიოტული ფრონტის პარტიზანები იარაღს დაყრიან, რათა სხვებთან ერთად ისარგებლონ ეკონომიკური სიკეთით. რეალური სიტუაცია კი სრულიად საწინააღმდეგოა — დღითი დღე ძლიერდება პატრიოტთა გავლენა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ, რაც კარგს არაფერს უქადის მუზორევა-სმითის კავშირს.

ს. ცინცაძე,

„კომუნისტის" პოლიტიკური მიმომხილველი.

კომუნისტი:
[illegible] ბიბლიოთეკა
საკითხავი

გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა კონსტანტინე ლორთქიფანიძემ დაამთავრა ვრცელი მოთხრობა „სიტყვა იყო ღმერთი", რომელიც გვიხატავს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებს.

ერთ-ერთი თავი ამ მოთხრობისა უკვე დაიბეჭდა ჩვენი გაზეთის მიმდინარე წლის 25 თებერვლის ნომერში. ამჯერად გთავაზობთ კიდევ ერთ ახალ თავს.

სიტყვა იყო ღმერთი...

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

თებერვლის რევოლუციამ პეტერბურგის უნივერსიტეტის კედლებში მოუსწრო ვანო მურადაშვილს. იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტმა სწავლას თავი მიანება და სამშობლოს მოაშურა... სიღნაღში ჩამოვიდა, მიიხედ-მოიხედა, ბევრი რამ აწონ-დაწონა და სამკვდრო-სასიცოცხლოდ გამართულ ბრძოლაში ყველაზე ძნელი გზა აირჩია, — ბოლშევიკებს მიემხრო და იმავე წელს მონაწილეობა მიიღო ლაგოდეხის აჯანყებაში. გათენებისას, მენშევიკების გვარდიელებთან შეტაკების დროს, მურადაშვილი მძიმედ დაიჭრა და მტერს ხელში ჩაუვარდა, დაჭრილი კაცი სიღნაღის საავადმყოფოში დააწვინეს, მოარჩინეს და თბილისის ციხეში გადაგზავნეს, სადაც მალე მისი გასამართლება უნდა მომხდარიყო, მაგრამ განგებამ ცოტა უფრო ადრე გამოუტანა განაჩენი თვითონ მენშევიკებს. ოცდახუთმა თებერვალმა მურადაშვილს ციხის კარი გაუღო.

ზორბა ტანის კაცი იყო სიღნაღის მაზრის მილიციის უფროსი ვანო მურადაშვილი.

თუ გაწყრა ღმერთი და პატიმრების დაკითხვის დროს ბრაზი მოერია და სკამზე შეტრიალდა, მერე მორჩა, — ის სკამი დასაჯდომად აღარ ივარგებს, ერთიანად მოირყევა და სახსრებში დაიშლება.

სამაგიეროდ ხმა დაჰყოლია ისეთი წვრილი და წრიპინა, რომ ეჭვი შეგეპარება, ეს კაცი ხომ არ მაპამპულებს, აბა როგორ შეიძლება ამოდენა დევის ყელიდან ასეთი წრიპინი ამოდიოდესო.

მაზრაში მალე გაითქვა სახელი, როგორც მიუკერძოებელმა და სამართლიანმა კაცმა. ვერავითარი ქირა და ქრთამი მასთან ვერ გასჭრიდა, ძმაკაცობა სასწორს ვერ გაუმრუდებდა. მაღლიდან წამოსულ სიტყვას ბრმად არ შეუშვერდა კალთას.

ყველას ახსოვს ერთი ამბავი, როდესაც სამაზრო ალმასკომის თავმჯდომარემ თავის ახლობელს ხელი გადააფარა და მურადაშვილს შემოუთვალა, ამ კაცს ძირამდე ნუ ჩაჰყვები, ნუ ჩააცივდებიო.

— რა თქმა უნდა, არ ჩავაცივდები, მაგრამ არც არაფერს ვაპატიებ! — განუცხადა მურადაშვილმა შუაკაცს,

— შენი უფროსი გთხოვს, კაცო!

— სიმართლეს უფროსი არ ჰყავს, ჩემო კარგო! იგი თავად არის ყველას უფროსი, — მიუგო მურადაშვილმა.

ღარიბულად ცხოვრობდა სამაზრო მილიციის უფროსი.

უანგმოკიდებული რკინის საწოლები. — ერთი ძველი კარადა. კარის გაღება და — დახვრეტილი გვერდებიდან რკილის ნაჭამი ფქვილი სცვივოდა.

ერთი გამოხუნებული ფარდაგი...

მამა-პაპის დანატოვარი განიერი ტახტი. მურადაშვილის სამი პატარა გოგო-ბიჭი და მათი ჩინდალეული დიდედა ერთად წვებოდნენ ამ ტახტზე.

ერთხელ შვიდი თუ რვა კაცი სტუმარი ერთად მოუვიდა მურადაშვილს. სკამების ნაკლებობის გამო, მასპინძლებმა მძინარე ბალღები მეორე ოთახში გაიყვანეს და სასადილო მაგიდა ტახტისაკენ მიაჩოჩეს. სხვანაირად საქმე არ გამოვიდოდა.

უთხრა ერთი-ორჯერ ალმასკომის თავმჯდომარემ, სიღნაღიდან გაქცეულმა ვაჭრებმა ბევრი ვეჯი და ავეჯი დატოვეს ბინებში, ამოირჩიე, რაც გენებოს და შენი ფეშქაში იყოსო....

მაგრამ მურადაშვილმა თავი გააქნია, ჩემი მოსისხლე მტრების გამონაცვალ საწოლში რა დამაძინებს! ხალხიც არ მინდა ვალაპარაკო, ჩვენი მილიციის უფროსს მუქთი კუბო უყვარსო...

ამ დიდი სიკეთის მიუხედავად, ბიჭოია ფურცხვანიძე მაინც ვერ შეეთვისა თავის მეთაურს.

წითელი და თეთრი, — ამ ორი ფერის გარდა, მურადაშვილი სხვას ვერაფერს ხედავდა ამ ქვეყანაზე.

— სამყარო ორად არის გაყოფილი, — ჩასჩიჩინებდა იგი თანამშრომლებს ყოველ კრებასა და თათბირზე: — წითლების მხარეზე არა ხარ? მაშ თეთრებისა ყოფილხარ და ტყვია შუბლში! სხვა ვერაფერი გაგვასწორებს!

— არა, ამხანაგო ვანო, — შეედავა ერთხელ ბიჭოია ფურცხვანიძე: — მე ეს ცხოვრება უფრო ძნელი მგონია, უფრო ღრმად წასული ქვესკნელ-ზესკნელში! ცხოვრებაში ხშირად ხდება ხოლმე, რაღაც შემთხვევის გამო კაცი გზიდან გადასცდება, რაღაც შეეშლება, ან თავიდანვე რაღაცაში დაეჭვდება და ბრძოლას განზე გაუდგება! შეიძლება ამ შეცდომამ ქვეყანა არ დააქციოს და იმ კაცმა მართალი გზა იპოვოს, მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, თუ მსაჯულმა მეტი მოთმინება და გაგება გამოიჩინა!

— ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მტერია, მორჩა და გათავდა! მოთმინებამ ქვეყანა დაანგრია! მეზიზღება ის ხალხი, რაღაც მესამე გზას რომ ეძებენ და...

აღარ დაასრულა და ისეთი თვალებით შეხედა მოკამათეს, თითქოს უკვე ვეღარა სცნობდა.

— მესამე გზის მაძებარი ხალხი მეც არ მიყვარს, ამხანაგო ვანო, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ისინიც ადამიანები არიან და ასე განურჩევლად ყველას უფსკრულში ვერ გადაუძახებ! დაეჭვებულ კაცს ცოტა უნდა დააცადო, მიიხედ-მოიხედოს, ნიადაგი მოსინჯოს, მერე იქნებ შენი ხატიც იწამოს და გვერდში ამოგიდგეს! წინასწარ განაჩენი რატომ გამოგაქვს?

მურადაშვილს ეცინებოდა ამ სიტყვებზე, ფიქრი და ყოყმანი ჩვენი მტრების წისქვილზე ასხამსო წყალს, — არათუ მოპირდაპირე სანგარში ჩამჯდარ მეტოქეს, წამიერად გზაჯვარედინზე შემდგარ ადამიანსაც კი არ შეიწყალებდა, — მკერდზე თოფის ლულას მიაბჯენდა.

შარშან ნარიანში ციხიდან გამოქცეულმა ბიჭებმა ღამის მეხრეებს შვიდი უღელი ხარკამეჩი მოსტაცეს და ალაზან-გაღმა გაიყვანეს. მზვერავებმა ცნობა მოიტანეს, ამ თავდასხმას ვინმე ვაჩნაძე მეთაურობდაო.

მურადაშვილი გაგიჟდა თურმე და პირიდან ცოფი ჰყარა.

— კიდევ არ მოისვენეს მაგ ნაკაცარებმა?! კაცი არ ვიყო, თუ მათი გვარი და ჯილაგი ძირზე არ დავიყვანე! თავადაზნაურობის ერთი პროცენტიც არ უნდა დარჩეს საქართველოში, თუ მშვიდობა და ახალი ქვეყნის აშენება გვწყურია!

— ყველას ერთი საზომი ვერ გასწვდება, ამხანაგო ვანო! ზოგი მტერი იქნება, ზოგი მოყვარე! გაიხსენე ჩვენი პარტიის ისტორია! რამდენი დიდებული რევოლუციონერი გამოსულა თავადაზნაურობის წრიდან....

— მაშინ სხვა დრო იყო, სხვა განწყობილება! ახლა კი სხვა დროა! ვისაც ოქტომბერმა ტკბილი ცხოვრება წაამწარა, იგი ვერასდროს რევოლუციას ვერ შეიყვარებს! ჩვენი მოკავშირე არ გახდება!

— შეიძლება არ შეიყვარო, მაგრამ არც მტრად მოეკიდო! — ეტყოდა ბიჭოია და საქართველოს წარსულს გაიხსენებდა:

ღარიბი იყო ქართველი მეფე, ხაზინა მალე დაეცლებოდა, საბოძვარი ადგილ-მამულიც ხშირად გამოელეოდა, — აზნაურის წოდებას კი მაინც არიგებდა წაღმა-უკუღმა, რომ თავდადებული ქვეშევრდომების ღვაწლი და სიკეთე როგორმე დაეფასებინა.

ისახელა თავი მდაბიო კაცმა? იმ დღესვე უბოძებდნენ აზნაურობის სიგელ-გუჯარს...

რა თავში იხლიდა ცარიელ ქაღალდს უმიწაწყლო გლეხი, მაგრამ არ იცი ქართველი კაცის ამბავი?! ნუ აჭმევ, ნუ ასმევ, ოღონდ მოეფერე და კარგი სიტყვა უთხარი! ასე იყო მეტწილად; ამიტომ საქართველოში მხოლოდ გვარ-სახელის გამო კაცის მოძულება არ შეიძლება, მაშინ ნახევარი საქართველო უნდა ამოიღო გულიდან!

მურადაშვილი კი მაინც თავისას გაიძახოდა: გულში ისინი ყველანი კომუნიზმის მტრები არიანო... და არავითარი გარჩევა არ იცოდა, ეს კაცი სისხლის სამართლის დამნაშავე იყო თუ პოლიტიკური მეტოქე, გამოუსწორებელი ქურდი თუ კაცი ვინმე ყიამყრალი... ვისაც ხელში ჩაიგდებდა, აღარ დაინდობდა.

ბევრი მათგანი გზაში „შემოაკვდა, გაქცევის დროს", როგორც მაშინ ეძახდნენ ამ ყოვლად საზიზღარ ვერაგობას.

ასეთი კაცი იყო სიღნაღის მაზრის მილიციის უფროსი ვანო მურადაშვილი.

იმ დალოცვილმა განგებამ სწორედ ეს კაცი შეახვედრა ბიჭოია ფურცხვანიძეს ჩვენი ცხოვრების ყველაზე შფოთიან დღეებში.

ახლა შენ იფიქრე, მკითხველო, რა ავი ზნე მოუვლიდა მურადაშვილს, როდესაც საგუშაგოს უფროსი დუდე გავაშელი ციხიანთ ყურეში მომხდარ ამბავს მიუტანდა.

არ დაიჯერა.

არაფრის დიდებით არ დაიჯერა, რომ რაიონის მილიციის უფროსი, ნაცადი კომკავშირელი, წითელ არმიაში ნამსახური ბიჭი მახეში მომწყვდეულ ყაჩაღებს ასე ჰაიჰარად გაუშვებდა.

კაცი უნდა გაგიჟდეს, ან შემოგზავნილი მტერი უნდა იყოს, რომ ამგვარი ღალატი ჩაიდინოსო.

არ დაიჯერა, მაგრამ ეს დუდე გავაშელი არც იმდენად ბრიყვი კაცი იყო, რომ უმიზეზოდ ასეთი აურზაური აეტეხა. ეტყობა, რაღაც უგვანო ამბავი მართლაც მოხდა ციხიანთ ყურეში... ფურცხვანიძე სასწრაფოდ გამოიძახეს. სანამ იგი სიღნაღში ამოაღწევდა, მურადაშვილს ბოღმისა და მოუთმენლობისაგან თვალები ჩაუსისხლიანდა და ისეთი ქშენა აუვარდა, კაცი იფიქრებდა, სასულე თუ დაეკეტაო.

უკვე ღამდებოდა, როდესაც მურადაშვილს მოახსენეს, წითელწყაროს მილიციის უფროსი გეახლათო.

ოთახში შემოსულ ფურცხვანიძეს თვალებში არ შეხედა, თავი განზე წაიღო და კბილებში გამოსცრა:

— მართალია, რაც მითხრეს?

— ორი დღეა, ცხენიდან არ ჩამოვსულვარ, ამხანაგო ვანო, ძალიან დავიღალე! ნება მომეცი....

მურადაშვილმა სიტყვის დამთავრება აღარ დააცალა, სკამს ხელი დაავლო, მის წინ იატაკზე დაახეთქა და უთხრა:

— დაბრძანდი! — მურადაშვილს ხმა უკანკალებდა.

დაჯდომაზე შეეტყო, რომ ბიჭოია ფურცხვანიძე მართლა უზომოდ იყო დაღლილი. წელზე ჩამოკიდებული მაუზერი ლაჯებში მოიქცია და ცოტა სული ჩაიდგა.

— დაწყნარდი, ამხანაგო ვანო, კომკავშირულ სიტყვას გაძლევ, მაგ ყაჩაღებს ხუთივეს ცოცხლად გამოვიყვან ტყიდან! ოღონდ ცოტა მადროვე.... — ძალიან მშვიდად და ძალიან ამხანაგურად უთხრა ფურცხვანიძემ.

— რა გადროვო, შე ლაწირაკო! გამოყვანილი არა გვყავდა? ყველანი შენს ხელში არ იყვნენ? რა მოხდა, რატომ არ ესროლეთ! მითხარი, გამაგებინე, თორემ სამეულს გადაგცემ დღესვე...

მურადაშვილს ხმა უფრო დაუწვრილდა, კისრის ძარღვები დაებერა. მაღლი რომ დატრიალდება გალიაში, ასე მიაწყდა ხან ერთ კედელს, ხან მეორეს და რიყის ქვასავით შეკრული მუშტები დაუშინა.

ბიჭოიას ეგონა, აქედან ცოცხალი ვერ გავასწრებო მურადაშვილს, მაგრამ მერე თვალი მოატანა, რომ ეს აქელებული დევკაცი ერთბაშად ჩაცხრა და ჩაყუჩდა. რაღაც უცაბედმა ფიქრმა აშლილი პირისახე დაუწყნარა, თვალები დაუწმინდა....

ერთი-ორი წუთი კედელთან ჩუმად იდგა და ფურცხვანიძეს უჩინოდ მისჩერებოდა. მერე ერთი ამოიოხრა და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა.

— ბოდიში, ბიჭოია, ცოტა გავცხარდი!

ბიჭოიამ ხმა არ გასცა. ასე უსუნთქებლივ ის „ლაწირაკო" ვერ დაივიწყა. და მიმხვედრმა მურადაშვილმაც ერთი ხანი იყუჩა, მერე ფურცხვანიძეს თავზე დაადგა და უთხრა:

— გამოვიყვანო — ადვილი სათქმელია, ჩემო კარგო, მაგრამ რამდენი ჭკუა და მოხერხება სჭირდება ამ საქმეს, თუ იცი შენ? თავი არ წააგო ტყუილუბრალოდ! მე ჩემი მხრიდან ყოველნაირად შეგეწყობ ხელს....

მისმა მეგობრულმა კილომ იმწამსვე იპოვნა ფონი ახალგაზრდა კაცის გულში. ბიჭოია წამოდგა და ისეთი მადლიერი თვალები მიაპყრო მურადაშვილს, — სად იყო იმ თვალებში წეღანდელი წყენა და ჯავრი!

— შენ არ შეგაწუხებ, ამხანაგო ვანო, მე და ჩემი ხალხი მოვუვლით ამ საქმეს. შენ მხოლოდ პირობა მომეცი, დაწერე და ბეჭედი დაჰკარი, რომ ბიჭოია ფურცხვანიძე ტყიდან ვისაც გამოიყვანს და შემოირიგებს, იმას ძველი ცოდვები ეპატიება და პატიოსან შრომას დაუბრუნდება!

— ქაღალდი რად გინდა, ბიჭო, აგერ სიტყვა და აგერ ჩემი ხელი! დაჰკარი! — შესძახა მურადაშვილმა და ხელი გაუწოდა.

დაჰკრეს.

ცოტა ხანს კიდევ ილაპარაკეს, რაღაც ქაღალდებში ჩაიხედეს, რაღაც გვარები ამოიკითხეს და ერთმანეთს გულთბილად დაემშვიდობნენ.

●●

ნუ გეშინია, ქორისა, ჩვენი საქმე კარგად არის! — უთხრა ბიჭოიამ მარცილზე გამობმულ ცხენს. დუმის დროს მოშვებული მოსართავები ხელახლა მოუჭირა, სადუე გაუსწორა და უნაგირს მოახტა. გახარებულ კაცს რა დაღლა მოერეოდა!

ბიჭოია ფურცხვანიძის ოცნებაც ეს იყო, — დახმარებოდა იმ უბედურ ხალხს, რაღაც უბრალო ფათერაკმა, სიბრიყვემ თუ სხვათა ჩაგონებამ დედა-ადგილს რომ მოსწყვიტა და ტყეში შეჰყარა.

ბევრი მათგანი მერე მართლაც ავკაცობდა, ლუკმა პურის ძებნაში სოფლებსაც აწიოკებდნენ, მაგრამ ისინი მაინც არ იყვნენ ქრისტეს ფეხის მჭამელი მზაკვრები და მათი შემორიგება და გადარჩენა გადაუდებელ საქმედ მიაჩნდა ბიჭოია ფურცხვანიძეს.

დიდი იყო შფოთი და არეულობა მაშინდელ საქართველოში. გახშირდა ყაჩაღობა. ტყეში დაძრწოდნენ არა მარტო ძველი, გამოჯანდრული კაცისმკვლელები და მძარცველები, — ამ გადაგვარებულ ხალხს ახლა მხარში ამოუდგნენ ტახტიდან გადმოყრილი ნაკაცარები.

ბიჭოია ფურცხვანიძე მეუბნებოდა, ცხრა თოკში გამოვლილი ყაჩაღი უფრო დაგინდობს და შეგიწყალებს, ვიდრე ტყეში გავარდნილი პოლიტიკური მოქიშპე... ყაჩაღს მხოლოდ შენი ფული და ცხვარ-ძროხა უნდა, პოლიტიკურ მოქიშპეს კი ყველაფერი მიაქვს, ფულიცა და სულიცაო...

მემატიანე მოგვითხრობს, რომ 1922 წლის მეორე ნახევარში ამ უკულმართმა ადამიანებმა დუშეთის მაზრაში, სახელდობრ, სოფელ მჭადისჯვრის სანახებში, ისეთი ციხესიმაგრე შექმნეს, რომ მთავრობამ წითელი არმიის ნაწილები გაგზავნა გათავხედებული თარეშის გასანადგურებლად.

მეტად საშიში ბრბოები დაეხეტებოდნენ იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ტყეებში, მაგრამ ყველაზე სავალალო მდგომარეობა მაინც კახეთში შეიქმნა, სადაც საბჭოთა ხელისუფლებას მეტი მომდურავი ხალხი გაუჩნდა; თანაც კახეთის ტყეებში ხარჯი უფრო ადვილად იშოვებოდა და ყაჩაღს თავის გატანა არცთუ ისე უჭირდა.

ყველაფერზე ეტყობოდა, რომ ტყეს ერთი ნაცადი ხელი მართავდა. ხშირი შეიარაღებული გამოსვლა, აჯანყებას მიმსგავსებული ორომტრიალი, სოფლის მოწინავე გლეხების გატაცება, მკვლელობა, ძარცვა-გლეჯა, სახლ-კარის გადაწვა, — რაღაზე არ მოაწერეს ხელი ხალხის მტრებმა, ოღონდაც კი წითელი საქართველო დასუსტებულიყო და დაქცეულიყო.

ამ უბედურებას ერთი ჭირი კიდევ მიემატა. ფშავ-ხევსურეთისა და თუშეთის საზაფხულო საძოვრებს ქისტი ყაჩაღები შემოეჩვივნენ. ისინი თამამად გადმოდიოდნენ კავკასიონის უღელტეხილზე და, როგორც მემატიანე იუწყება, ბოლო წლებში სამოცი ათასი სული ცხვარ-ძროხა მოსტაცესო ქართველ მწყემსებს.

იყო კიდევ ერთი გარემოება, რამაც ერთობ გააძნელა ტყესთან ბრძოლა და ომი. ტყეში მომრავლდნენ ფეხის ხმას აყოლილი, გზას ამცდარი გლეხები; მეწისქვილე იორამის ბიჭი, ცერცეტა დუხუნია ღამის მეხრედ ედგა ზემოქედელებს. ტყეში რა უნდოდა, იმ საცოდავს, მაგრამ, ეტყობა, კაცი ბედისწერას ვერ გაექცევა, იორამის ბიჭზე მუდამ ამბობდნენ, ეგ უბედური ხატის დღესასწაულში [illegible] და შეხედო, სიტყვა არ უნდა შეუბრუნო, თორემ მტრისას, უშაროდ ვერ გადაურჩები! — მითხრა ერთხელ მეხუშე გოგიამ.

ისე კი, სიფხიზლეში, დუხუნია აბაიძე ყოვლად უწყინარი და უბოროტო კაცი იყო.

...იმ საღამოს აბაიძეს ერთი ხამი ბიჭი გადაეკიდა სუფრაზე.

— მოეშვი, კაცო, ემაგ ხანჯალს, დააცა თამადას, სადღეგრძელოს ამბობსო, — დასძახა თურმე იმ ბიჭმა ღვინისაგან კარგად შეხურებულ დუხუნიას.

დუხუნიამ წარბი შეიკრა და სანამ ძმაკაცები ხანჯალს წაართმევდნენ, მისი მეინახე უკვე სისხლში ცურავდა. შეშინებულმა მეწისქვილემ შვილი სუფრიდან გააპარა, ალაზან-გაღმა გაიყვანა და ლეკის ტყეში დამალა.

— ტყეში რა უნდა, შე უღმერთო, ჩვენს ბიჭს?! მილიციის ტყვიას რომ გადაურჩეს, შიმშილი და სიცივე ამოხდის სულს! — შეიცხადა დუხუნიას დედამ, როდესაც მეორე დღეს მეწისქვილე ალაზნიდან მობრუნდა: — ვექილმა მითხრა, ჭრილობა საშიში არ არის, — დიდი-დიდი, წელიწად-ნახევარი მიუსაჯონო! წელიწად-ნახევარი რა არის, შე კაცო, ხელდახელ გაივლის, ციხიდან გამოვა და ისევ კაცი იქნება!

— ნუ გეშინია, დედაკაცო, — დაამშვიდა მეწისქვილემ დაზაფრული ქალი: — იცი, წითელმა დათამ რა მითხრა? ბოლშევიკების დღეები უკვე დათვლილია, დღეს არა, ხვალ საქართველოდან გუდა-ნაბადს აიკრავენო, ანტანტის გემები დარდანელში უკვე შემოსულან და მხოლოდ ბრძანებას უცდიან, რომ ბათუმში ჯარები გადმოსხანო! გაქცევის დროს ეს გამწარებული მთავრობა ვინ იცის რას უზამს პატიმრებს! შეიძლება ყველა ერთად მიახვრიტოს, ბრუნდი და მართალი, მერე დაჯექი და უყარე კაკალი... ბეწვის ხიდზე რატომ უნდა შედგეს საწყალი ბიჭი! იყოს ტყეში, ერთი-ორი კვირა გაიჭირვოს და მერე მადლობასაც ეტყვიან, კარგი ბიჭი ყოფილხარ, რომ ბოლშევიკებს არ შეურიგდი და ტყეში გაიქეციო...

ამ ხმამ, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება მალე დაემხობაო, ისეთი ძირი მოიდგა კახეთის სოფლებში, რომ მარტო ჩვენი უბნიდან სამი კაცი გავიდა ალაზან-გაღმა, გარბოდა ყველა, ვისაც რაიმე პატარა სასჯელი მაინც ელოდა საბჭოთა მართლმსაჯულებისაგან.

ზემო მაჩხაანში მეკალოე ბიჭებმა ერთი ბობოლა გლეხი აითვალისწუნეს და ზაქი დაუკლეს, მერე ლექსიც გამოუთქვეს:

გიგოლანთ ზაქი დაჰკლეს
ორი კვირის წინაო,
ძუნწი იყო, ლუკმა პურზე
დავდიოდით შინაო....

საუბედუროდ, ერთ ბიჭს ზაქის ტყავი უპოვეს და დაჭერას უპირებდნენ. ისიც მაშინვე ტყეში გავარდა, ისე იყო დაჯერებული, „ამ მთავრობის დღეები დათვლილი არისო".

ძმები ბენაშვილებიც ასევე ტყუილუბრალოდ შეიწირა სამების ტყემ.

მეფის ყოფილი ოფიცერი დათიკო წერეთელი კარგი მონადირე იყო და მასთან დაამხანაგება ყველას ეხალისებოდა, მისი ნადირობის ამბავს ზღაპარივით ჰყვებოდნენ სოფელ-სოფელ. იმ საღამოს წერეთელს შემოეთვალა, ჯიმსყურეში მივდივარ ტახებზე სანადიროდ და ესა და ეს ბიჭები გათენებისას სამთაწყაროსთან დამხვდნენო.

ბიჭებიც თადარიგს შეუდგნენ, მხოლოდ ბენაშვილების შუათანა ძმამ წარბები მაღლა აზიდა თურმე, ახლა ტახი კავკასიონიდან ჩამოსული იქნება თუ არაო... ალაზნის პირებზე ჯერ კიდევ ცხელა, ტახი ამ დროს ტყე-ჭალას ნაკლებად ეტანებაო. ბენაშვილს ცოტა ისიც გაუკვირდა, რომ მარეკად ბევრი ხალხი იყო დაძახებული, მაგრამ ამ წვრილმან ამბებს სხვა არავინ ჩაუფიქრდა, ბენაშვილს კი უფროსი მეგობრისა მოხათრა და თავისი ეჭვი ვერავის გაანდო.

ჯერ კიდევ სამთაწყაროს სინათლე არ დასდგომოდა, რომ ყველანი უკვე დანიშნულ ადგილას იყვნენ.... მაგრამ გავიდა ერთი საათი, გავიდა მეორე საათი, — არც დათიკო წერეთელი გამოჩნდა და არც მისი კაცი. ნამი უკვე შეაშრა ბალახს, ხალხს გული გაუწყალდა, ნელა-ნელა დაიშალნენ და წავიდწამოვიდნენ. მხოლოდ ორი ქედელი მონადირე და ძმები ბენაშვილები დარჩნენ.

მოშუადღევდა. მინდორში გაშლილმა საქონელმა საჩრდილობელ ხეებს მიაშურა, — ისინი მაინც იდგნენ და გზას გასცქეროდნენ, ბოლოს ვიღაცამ მოირბინა და ბენაშვილებს უთხრა, თავს უშველეთ, ნადირობა კი არა, აჯანყება დაიწყო, დათიკო და მისი ამქარი უკვე დაიჭირეს, ვიღაცას თქვენი გვარიც დაუსახელებია, ჩვენი შეთქმულება იცოდნენ, ამ დილას სოფელი ხელში უნდა ჩაგვეგდო და ალმასკომის თავზე სამფეროვანი დროშა აგვეფრიალებინაო... სიტყვის დამთავრება ვერ მოასწრო, ბენაშვილების მამაც მოვარდა, თავში ხელები წაიშინა, „რატომ დამღუპეთ, შვილებო, დილიდან გეძებენ, მთელი სახლ-კარი გადაატრიალესო!"

ძმები მიხვდნენ, რომ დათიკო წერეთელმა რაღაც უგვანო მახეში გააბა ისინი, ტახებზე ნადირობა მხოლოდ თვალთმაქცობა იყო, გულში კი, როგორც სჩანს, სხვა ფიქრი უტრიალებდა ყოფილ ოფიცერს, მაგრამ ძმებმა იმდენი მხნეობა ვერ გამოიჩინეს, რომ სოფელში დაბრუნებულიყვნენ და თავიანთი სიმართლე დაემტკიცებინათ.

„ვინ იცის, ამღვრეული წყალი როდის დაიწმინდება, ამიტომ, სანამ გადაიდარებდეს, ტყეში მოვიცადოთო", — გადაწყვიტეს ძმებმა და სამთაწყაროდან თავქვეზე დაეშვნენ, დაღამებამდე ჩანკაანის ლიჭაბარდებში იმალებოდნენ, მერე ალაზანი გაცურეს და ტყეში გაიჭრნენ.

ერთი ადგილი ვერ უძლებდა ამდენი ხალხის რჩენას, ბრბოები განუწყვეტლივ მოძრაობდნენ და აცარიელებდნენ ისედაც დამშეულ სოფლებს.

●●

დატრიალდნენ სანდო კაცები, გამოიკითხეს, გამოიძიეს ახლომახლო სოფლებიდან ტყეში ვინ იყო გასული და იმ ხუთი ყაჩაღიდან ერთი ბიჭის გვარ-სახელი მეორე დღესვე დაადგინეს. თუში იყო შირაქში ჩამოსახლებული, შიოლა ნაზღაიძე.

შარშანწინ ნაზღაიძეს საცოლე მოსტაცა თურმე ვიღაც ბელაქნელმა ლეკმა და ხუნძახში მიიმალა. ქვეყანა შეაწრიალა გამწარებულმა ბიჭმა, მისი ასავალ-დასავალი მაინც ვერ გაიგო. ეს მოხდა გაზაფხულზე, სექტემბრის დამლევს კი შიოლას ვიღაცამ შეატყობინა, შენი მოსისხლე ლეკი ალავერდის მინდორზე ვნახე, სადოლე ცხენები ჩამოუყვანია და ყიდისო...

ალავერდის ხატის დღესასწაული უკვე ილეოდა, მაგრამ შიოლა ნაზღაიძემ მაინც ჩამოუსწრო ბაზრობაზე იმ უბედურს.

ძმაბიჭებმა ცხენი კი არა, შირაქის ზენა ქარი ათხოვეს ნაზღაიძეს.



მხატვარი ე. ამბოკაძე.

არც ხალხის მოერიდა, [illegible] დააგდო მიწაზე.

გამოუდგა მდევარი. ნაზღაიძემ დამწვარზე მდუღარე დაასხა. იმ სროლასა და ცეცხლკიდებაში ერთი კაცი კიდევ დაჭრა და სოფელში უკვე აღარ დაბრუნებულა, წავიდა და წავიდა, ტყეს მისცა თავი.

როცა ბიჭოიას მისი სურათი მიუტანეს, იგი წამითაც არ დაფიქრებულა, მაშინვე დაადო ხელი, — სწორედ ეგ შავწვერა ბიჭი დავინახე აჟინაურის მინდორზე, მისი პირისახე ყველაზე მეტად დამამახსოვრდაო....

დუდე გავაშელმაც დაადასტურა, შიოლა ნაზღაიძე და ამ სურათზე გამოსახული ბიჭი ერთი და იგივე პიროვნება არისო.

რახან ნაქსოვს ერთი თვალი კი ჩაუვარდა, მერე საქმეც ადვილად წავიდა. მალე იმ ოთხი ყაჩაღის ვინაობაც დაადგინეს, მათი გზა-კვალიც მოიძიეს, მაგრამ ბიჭოია არ აჩქარდა. „არ შეიძლება ამოდენა შირაქში რომელიმე მათგანს ერთი მესაიდუმლე კაცი არა ჰყავდესო", — ფიქრობდა იგი და ფრთხილად, ძალიან ფრთხილად (არ უნდოდა ეს ამბავი ადრევე გახმიანებულიყო) სოფელ-სოფელ ეძებდა მისთანა გლეხებს, ფარულად რომ თანაუგრძნობდნენ და ზოგჯერ ხელსაც კი უწყობდნენ შირაქელ ყაჩაღებს.

ბედმა აქაც გაუმართლა ბიჭოია ფურცხვანიძეს. ასეთი კაციც იპოვეს, ვინმე ბეროშვილი, ოზაანელი მებორნე, და არა მხოლოდ იპოვეს, — მებორნემ მაშინვე ირწმუნა ბიჭოია ფურცხვანიძის სიტყვა და შუაკაცობა უყოყმანოდ იტვირთა.

— ოღონდ მაგ ბიჭებს რამე ეშველოს და მე თუ გინდა ცეცხლის ალში ჩავდგები! — განაცხადა მებორნემ, თუმცა ერთი პირობა მაინც ჩამოართვა ფურცხვანიძეს: — შენმა ბიჭებმა თვალთვალი არ დამიწყონ და რამე უკულმართობას არ გადამკიდონ! ჩემი ასავალ-დასავალი კაცმა არ უნდა იცოდეს, მეტი თვალი და ყური დაგვიშლის, ის ბიჭები დაფრთხებიან და საქმე შეფერხდებაო....

ბიჭოია შეპირდა, შენი შუამავლობის ამბავს საიდუმლოდ შევინახავთ, ვითომ ზღვაში კენჭი ჩავარდნილაო, და რამეთუ ყოველგვარი ეჭვი და უნდობლობა გაექარწყლებინა, იქვე დასძინა: ჩვენი შეხვედრის ადგილი თვითონ შიოლა ნაზღაიძემ დათქვასო. „სადაც კი მოისურვებენ ჩემთან მოლაპარაკებას, ყველგან ყაბული ვიქნები!" — უთხრა ბიჭოიამ. შემორიგების პირობები ერთხელ კიდევ შეახსენა და კეთილი გზა უსურვა.

●●

ხელიდან წასულ კაცს ცელი და ნამგალი არ მოენატრებაო!"

გეშმა და ალღომ არ უმტყუნა ბიჭოია ფურცხვანიძეს. როგორც კი შუამავალმა ხმა მიაწვდინა შიოლა ნაზღაიძეს და მისი ბედის მოზიარე გლეხებს, მთავრობა შემორიგებას გპირებთო, ისინი წინ გაუგორდნენ მებორნეს, ოღონდ სოფელში დაგვაბრუნონ და სიკვდილამდე კისრიდან უღელს არ გადავიგდებთო.

მაძახურას ხევში წითელწყაროს მილიციის უფროსი და შიოლა ნაზღაიძე რამდენჯერმე შეხვდნენ ერთმანეთს.

ბიჭოიას მოეწონა ეს მაღალი, მხრებში აწურული, ოდნავ წელში მოხრილი ბიჭი. პირველი დანახვისას იგი ცოტა ძაბუნ კაცად მოეჩვენა ფურცხვანიძეს. ყაჩაღის ხიფათიან ცხოვრებას უკვე დაეღარა მისი გაშლილი შუბლი, მაგრამ კარგად რომ დააკვირდა, გულში გაეცინა, თვალმა როგორ მომატყუაო.

რა ძაბუნი? მაგრად მოზიდული მშვილდი თუ გინახავს, ისეთი დაძაგრული და შეკრული ტანფეხი ჰქონდა შიოლა ნაზღაიძეს. ასეთ კაცზე იტყვიან, ცხრა გაშლილ ნაბადს გადაახტებაო... .

ხშირი, წაბლისფერი ულვაშის ძირებში თამბაქოს ყლარტისა და არყის სუნი გასდგომოდა. თავჩაღუნული ლაპარაკობდა, მოსაუბრეს მზერას არიდებდა, მაგრამ ერთი-ორხელ თავი ასწია და ისეთი სწრაფი თვალი შეავლო ბიჭოიას, რომ იგი უნებურად შეცბა, — თვალის ჩინი კი არა, თითქოს ელვის ნატეხი მიაწყდა პირისახეზე.

მაშინ კი მიხვდა ბიჭოია ფურცხვანიძე, რა შეუბრალებელი იქნებოდა იგი შურისძიების წუთებში.

ერთი წვერმოტეხილი სიტყვა არ დასცდენია ნაზღაიძეს, არც ქვიშის თოკის გრეხა დაუწყია, — პირდაპირ განუცხადა წითელწყაროს რაიონის მილიციის უფროსს, თუ მთავრობა შეგვინდობს და პატიოსან შრომას დაგვაწყებინებს, — ღმერთი და რჯული, წინა-ხარების მაგიერობას გავწევთო...

შიოლა ნაზღაიძეს მხოლოდ ერთი რამ აფიქრებდა: ტყეს იმ წლებში თავისი წესი და რჯული ჰქონდა, თავისი კანონ-სამართალი. ამ გაბრიყვებულმა გლეხებმა არ იცოდნენ, რომ ტყეში შესვლა ადვილი იყო, გამოსვლა კი მეტად ძნელი და სავალალო. ახლოვდებოდა ათას ცხრაას ოცდაოთხი წელი და უკვე ყველაფერზე ეტყობოდა, რომ ტყეში რაღაც დიდი ამბავი ხდებოდა, იდუმალი საქმე იწყებოდა. ამიტომ თუ ვინმე ტყიდან გასვლას დააპირებდა, სოფელში დაბრუნებას მოიწადინებდა, — მისი წირვა გამოსული იყო... ტყე უკან აღარავის აღარ უშვებდა. როგორც სჩანდა, ტყეს თავისი უხილავი გამგებელი ჰყავდა.

ორმა ყაჩაღმა, დიდებაშვილმა და ზალიკო კიკნაძემ ცოდვები მოინანიეს და სოფელს შეურიგდნენ. მჭადისჯვრის ბანდის მეთაურმა წესი აუგო ორივეს. დიდებაშვილი სოფელში მოაკვლევინა მიგზავნილ კაცს, კიკნაძე კი სახლიდან მძინარე გამოიტაცეს, ტყეში აწამეს და მერე ურიასავით პირუკუღმა ჩაფლეს მიწაში.

დუხუნია აბაიძე მხოლოდ იმიტომ გააქრეს ამ ქვეყნიდან, რომ ერთხელ ღვინოში წამოსცდა თურმე, დანაშაულს თუ მაპატიებ და ციხეში არ ჩამსვამენ, ტყეში ვერავინ გამიჭირებს [illegible] უხილავ ძალას დაუმორჩილა. მაგრამ მიწის ძახილი ყოველგვარ შიშზე უფრო ძლიერი გამოდგა. თანაც მილიციის უფროსმა დააიმედა შიოლა ნაზღაიძე, ჩვენც გვექნება თვალყური, რომ ბოროტმა ადამიანებმა ავი რამ არაფერი შეგამთხვიონო.

ყველა სათქმელი უკვე ითქვა, ყველა ეჭვი და საგონებელი უკვე გაცხადდა, და ღვინობისთვის დამლევს, მებორნე ბეროშვილის ქოხში, შიოლა ნაზღაიძე და მისი ამხანაგები წითელწყაროს მილიციის თანამშრომლებს ჩაბარდნენ. როგორც დათქმული იყო, ყაჩაღებმა ჯერ თოფ-იარაღი გამოგზავნეს, მერე თვითონაც მოვიდნენ და შემორიგების ქაღალდს ხელი მოაწერეს.

წვიმდა, ბნელოდა. ბიჭოიამ შემორიგებულ ყაჩაღებს ცხენები ათხოვა და თავისი კაცებიც გააყოლა, რომ გზაში რაიმე ფათერაკს არ გადაჰყროდნენ. თვითონ კი ნაბადში გაეხვია და სადაც იჯდა, იქვე მიეყუდა კედელს.

და ისე ჩუმად მიიძინა, თითქოს აკვნის ბალღი იყო. ასეთი ბედნიერი ძილი არა მგონია, რომ ოდესმე ჰქონოდა ბიჭოია ფურცხვანიძეს. როგორ გაიხარებენ იმ ბედდამწვარი ბიჭების მშობლები და დედმამიშვილები, და როგორ გაოცდება სამაზრო მილიციის უფროსი ვანო მურადაშვილი, — ეს რა მარჯვე და გონიერი თანამშრომელი მყოლია, საქმე საქმეზე მოიყვანა და რა მოკლე ხანში ხუთი ყაჩაღი შემოირიგაო...

●●

გათენებისას წვიმამ გადაიღო, მაგრამ აჟინაურის ჭალა-მინდორზე ისეთი ხშირი ბურუსი ჩამოწვა, მთლად ჩამოაბნელა იქაურობა. მებორნეს ტანმა უგრძნო, რომ უკვე გათენებული იყო: ადგომა მაინც არ იჩქარა, კუთხეში საცოდავად მიყუჟული კაცი არ გავაღვიძოო. ბიჭოიას ისევ ისე ხმელად ეძინა სკამზე და სულის ქცევაც კი გაეწყვიტა. ეტყობოდა, ჯერ კიდევ ვერ მოესწრო გამოშუშება ორი ღამის უძინარ ბიჭს.

მებორნემ კერაში ჩახვეული ცეცხლი გაჩხრიკა და ხმელი შემოუწყო, მერე სამფეხზე ქვაბი შემოდგა, რომ წუხანდელი სუფრის მონარჩენი ხინკალი გაეცხელებინა. სანამ ქვაბი წამოდუღდებოდა, საჩეხში გავიდა, სტუმრის ცხენს თივა მისცა...

უეცრად ალაზნის მხრიდან თქარათქური მოისმა. ბურუსში თვალი ვერაფერს ჰკიდა მებორნემ, აქედან ეზოს ჭიშკარიც კი ლანდად სჩანდა, მაგრამ ყველაფერზე ეტყობოდა, ვიღაც გიჟი თუ თავმოძულებული კაცი ცხენს მოაჭენებდა საურმე გზაზე. აბა ამისთანა ბურუსში ცხენის დაოთხება იქნებოდა?!

არ გასულა დიდი ხანი, მებორნის ჭიშკართან გაწითლებულმა, ოფლად გაღვრილმა მილიციელმა მოაგდო ცხენი.

— საგითა?! — შეიცხა მებორნემ.

ეგ საგითა ერთი იმ კაცთაგანი იყო, შიოლა ნაზღაიძე და მისი ამხანაგები სოფლამდე რომ უნდა მიეცილებინა. წუხელ ისინი ნაშუაღამევს გაუდგნენ გზას, ნარიანამდე კი ორმოცი ვერსი მაინც იქნებოდა, და მებორნეს გაუკვირდა, ასე ხელდახელ, ღამიანში, სოფლამდე მიყოლა და უკან მობრუნება როგორ მოასწრესო.

მოსულმა მისი გაოცება არ შეიმჩნია, ცხენიდან ჩამოხტა და ხმამაღლა ჰკითხა მებორნეს:

— უფროსი აქ არის?

— აქ არის.

საგითამ თავპირზე მკლავი ჩამოისვა და ქოხს მიაშურა. მებორნე წინ გადაუდგა.

— სძინავს, ცოდვაა ახლა მაგის გაღვიძება. გუშინ და გუშინწინ ფეხზე ჩამოწყდა კაცი!

— სასწრაფო საქმე მაქვს! — ხმას აუწია მილიციელმა.

— რა გაყვირებს, ბიჭო, ნალსა და ჩლიქს შუა ხომ არა ხარ გაჭედილი!

— აბა გამიშვი, რომ გეუბნები!

— რა გაჩხუბებს ხალხო, ეს ბურუსი ვერ გაიყავით?! — ქოხიდან ბიჭოია გამოვიდა, ეტყობა, სტუმარ-მასპინძლის შელაპარაკებამ ცოტა უდროოდ გამოაღვიძა იგი. აწოდინებდა, ამთქნარებდა, მაგრამ გუნებაზე მაინც იდგა, — წუხანდელი ღამის მოგონება მძლავრად უსხივებდა თვალებს...

საგითას დანახვაზე წარბები მაღლა შეჰყარა. იმ წამსვე მიხვდა, რაღაც ჭირს გადაეკიდნენ ეს ბიჭები, თორემ ასე უთენებლივ საგითას აქ რა მოიყვანდა?

— ვეტყობა, ვერა ხარ კარგი მახარობელი! — უთხრა ფურცხვანიძემ.

— ვერა ვარ, ამხანაგო უფროსო! — მაშინვე გამოუტყდა საგითა.

ბიჭოიამ მებორნეს გადახედა — და ისიც უხმოდ მიტრიალდა, ეზოდან გავიდა. საგითამ ცოტა ხანი კიდევ მოიცადა, სანამ მებორნე თვალს მიეფარებოდა, მერე ნაღვლიანად სთქვა:

— თქვენთან გამოსაჩენი პირი აღარა გვაქვს, ამხანაგო ბიჭოია, სამაზრო მილიციის უფროსმა წაგვართვა შიოლა და მისი ამხანაგები.

— როგორ თუ წაგართვათ, რას მიედმოედები!

— ხეობიდან ამოვედით თუ არა, სამაზრო მილიციამ ალყა შემოგვარტყა, ერთი ოცეული მაინც იქნებოდა. მურადაშვილმა პირადად თვითონ უბრძანა შემორიგებულ ყაჩაღებს, ცხენებიდან ჩამოდითო... მერე ხუთივე გაჩხრიკეს, ხელ-ფეხზე ბორკილები დაადეს და წინ გაირეკეს!

ზარდაცემულმა ბიჭოიამ ხმა ვერ ამოიღო, შუა ეზოში ჩუმად იდგა და უაზროდ მისჩერებოდა ავის მაუწყებელ შიკრიკს.

— მეტი არაფერი? — ჰკითხა ბიჭოიამ.

— ისინი რომ წაიყვანეს, მერე მურადაშვილმა ჩვენი გვარები გამოიკითხა და მადლობა გამოგვიცხადა, თქვენა და თქვენი უფროსი მარჯვე ბიჭები ყოფილხართო! — მიუგო საგითამ.

რა მწარედ ჩაეცინა ბიჭოიას... ავი სიტყვა ენის წვერზე ეკიდა, მაგრამ თავი შეიკავა. არ იკადრა, რომ ხელქვეითის გასაგონად მაზრის უფროსის აუგი ეთქვა.

„ღმერთო, მომეც ძალა და მოთმინებაო!" — გაიფიქრა და ქოხიდან უნაგირი და ნაბადი გამოიტანა. მერე ეზოს თვალი მოავლო და ჭასთან დაყუდებულ ცხენს გასძახა:

— ქორისა!

მოისმა ნელი ჭიხვინი, მოვდივარო...

ბიჭოიამ ცხენს კისერზე თავი მიადო და ერთი-ორი წუთი ასე გაქვავებული იდგა ეზოში, თითქოს მეტი საქმე აღარა ჰქონდა.

„ისეც ჩემი ბედი! რაღა მე დამადგა თვალი მეთაურმა და ამ კარგი ბიჭის გულის გასახეთქად გამომგზავნა!" — ფიქრობდა ჭირის ოფლში გაწურული საგითა და მზერას ვეღარ უსწორებდა ცოცხლად გათავებულ ბიჭოიას.

●●

ვერც იმ დილას, ვერც მეორე დღეს ბიჭოიამ სამაზრო მილიციის უფროსი სიღნაღში ვერ იპოვა, მერე ახლო-მახლო სოფლებიც მოიარა, იქნებ სადმე გადავაწყდეო. მურადაშვილის ასავალ-დასავალი მაინც ვერ გაიგო. სიღნაღში კაცმა არ იცოდა, სად იმყოფებოდა ან როდის გამოჩნდებოდა სამსახურში მაზრის უფროსი.

და სწორედ მაშინ შეიპყრო ბიჭოია ფურცხვანიძე რაღაც გაუგებარმა, გარეგნულად თითქოს უსაფუძვლო შიშმა თუ მოუსვენრობამ.

იმ პირველ დილას იგი ჯერ კიდევ ფიქრობდა, მოხდა ალბათ რაღაც უბრალო გაუგებრობა და — „შევხვდები თუ არა მურადაშვილს, ყველაფერს ნათელი მოეფინება და შემორიგებულ ყაჩაღებს, პირობის თანახმად, იმწამსვე სახლებში გაუშვებენო".

მაგრამ რა უნდა ყოფილიყო ეს უბრალო გაუგებრობა, ასე რომ გაამძაფრა მათი ურთიერთობა, — ამ ამბავს ბიჭოია მაშინ არ ჩაუფიქრდა, შიშის გამო არ ჩაუფიქრდა. არ უნდოდა მორევში შესულიყო, არ უნდოდა ეფიქრა, რომ ის ბორკილები უფრო მეტი იყო, ვიდრე უბრალო გაუგებრობა.

„ალბათ თვითონ მურადაშვილი მოუთმენლად მოელის ჩემთან შეხვედრას და საუბარს!" — აწყნარებდა იგი თავის გულს და გამალებული მიაჭენებდა ქორისას სიღნაღის აღმართზე.

და მხოლოდ მეორე თუ მესამე დღეს ბიჭოია ფურცხვანიძეს ტვინი გაუპო უეცარმა ეჭვმა: — მემალება, ნამდვილად მემალება. თორემ ამ ამბების მერე ჩემი ნახვა როგორ არ მოუნდა?!".

რა უდევს გულში ვანო მურადაშვილს?! მიიწყას და მიიწონოს სხვისი ნაშრომი და ნამოღვაწარი, სახელში ჩაეზიაროს ბიჭოია ფურცვანიძეს?

არა, იგი არ იყო ხარბი და გულნამცეცა კაცი, რომ ასეთი ნაბიჯი გადაედგა.

როგორც სჩანს, სხვა რაღაც განზრახვა ამოძრავებს მურადაშვილს, თორემ ასე მოულოდნელად, გაუფრთხილებლად ამ თავდასხმას არ მოაწყობდა.

ან ეს ბორკილები რაღა იყო?

„ნუთუ პირი გაიშავა და სიტყვა გატეხა!" — ამ ფიქრმა ტანში აზურძგნა ბიჭოია და რახან ერთხელ კი ჩაიხედა მრუდე სარკეში, მერე ყველაფერი უკუღმართად მოეჩვენა...

ისევ ცხენს მოახტა და თიანეთს მიაშურა, თიანეთში მურადაშვილის სიმამრი ცხოვრობდა. ბიჭოიას გაგონილი ჰქონდა: როდესაც მურადაშვილს ქელქის გამჩენი მოხუცებულები შემოესევიან, მაშინვე სიმამრის ოჯახში გაიხიზნებაო.

შუბლის ძარღვი უნდა გაეწყვიტა ბიჭოია ფურცხვანიძეს, რომ ახლა ოჯახში შეეწუხებინა თავისი უფროსი, მაგრამ მეტი გზა არ იყო, — შემორიგებული ყაჩაღები ისევ სიღნაღის საპატიმროში ისხდნენ, იგი კი სადღაც გადაიკარგა და სუნგალი განაბა.

დღე უკვე ილეოდა, ბიჭოიამ თიანეთს რომ მიატანა და ორღობეში მიმავალ ბერიკაცს ხოხოვა, ამა და ამ კაცის სახლი მიმასწავლეო...

დასასრული იქნება

თეატრალური ცხოვრება

„ძველი ვალსი“

კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ერთ სპექტაკლზე

დღეს უკვე აღარავინ არ დაობს იმის თაობაზე, რომ თანამედროვე თეატრის რეპერტუარის განმსაზღვრელი, ჩვენი თანამედროვე ცხოვრების ამსახველი დრამატურგიაა. თუ ამის გამო ხშირად ისმის საყვედური, ზოგჯერ არცთუ უსაფუძვლო, ეს უფრო იმის სურვილით არის გამოწვეული, რომ თანამედროვეობის თემას, ისე, სხვათა შორის, მოვალეობის მოხდის მიზნით კი არ უნდა მივმართავდეთ, არამედ ეს უნდა იყოს ჩვენი სასცენო ხელოვნების უპირველესი საზრუნავი და სასიცოცხლო მოწოდება.

ყველა ყველა და, კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრს ვერავინ უსაყვედურებს უყურადღებობას თანამედროვე დრამატურგიის მიმართ. პირიქით, ხალხის საყვარელი თეატრი მუდამ ერთგულია, ხელს გაუმართავს დამწყებ ავტორს, ახალ, დაუჭკნობელ პიესას რამპის სინათლეს დაანახვებს; რისკი ზოგჯერ წარმატების საწინდარია, მით უმეტეს, თუ ის კეთილი განზრახვით არის ნაკარნახევი.

ეს უკვე მეორედ არის ახალგაზრდა დრამატურგი ლ. თაბუკაშვილი სტუმრად მარჯანიშვილის თეატრში და ამჯერადაც, ეს სტუმრობა კეთილნაყოფიერია. მისი პიესა „ძველი ვალსი“ ჩუმი, უპრეტენზიო, ლირიზმით გამთბარი ნაწარმოებია, მასში აღწერილი მოვლენები ზედმეტად ნაცნობიც კია ყველა ჩვენგანისათვის, ავტორი მოულოდნელობის ეფექტებსაც განრიდებია, თითქოს ერთი, ჩვეულებრივი, არ მოვერიდები ამ სიტყვასაც, ტრივიალური ამბავია, მაგრამ იმდენად ზუსტად არის მონახული განწყობილების მთლიანობა, იმდენად პოეტურია დრამატურგიული აზროვნება, რომ თანდათან ვრწმუნდებით, რომ „ჩვეულებრივში“ ბევრი რამ დაგვრჩა აღმოუჩენელი...

პიესაში არ შეიმჩნევა დრამატურგის მიერ გმირთა საქციელზე „ძალდატანება“. ეპიზოდებში რეალური სურათი პოეტური პეწით არის წარმოჩენილი, იუმორი მხოლოდ აუცილებლობით და მოქმედ პირთა ხასიათის თვისებად აღიქმება. ნაწარმოებს ახლავს ერთი საერთო განწყობილება, საკუთარი და მისთვის ნიშანდობლივი.

თბილისის ძველი უბანი. ასევე ძველი სახლი და ბინა, მყუდრო ოჯახი: დედა, მამა და შვილი.

სცენაზე მხატვარმა (გ. მესხიშვილი) დიდი სიყვარულით გადმოიტანა თბილისის ძველი ბინების განუმეორებელი ინდივიდუალობა. არსებითისა და უმნიშვნელო დეტალების ოსტატურად შეხამების შედეგად მხატვრული დამაჯერებლობით არის დაცული საჭირო კოლორიტი.

დამდგმელმა რეჟისორმა მ. კუპუხიძემ სპექტაკლში ფიქრიც კი არ დაგვიტოვა რომელიმე სცენურ მონაკვეთში სათუო სიმართლეზე, კვლავ განგვიმტკიცა აზრი, რომ ოჯახური ყოფის თამაში არ შეიძლება. ის უნდა განიცადო. მით უმეტეს, როცა პიესის დრამატურგია სავსებით ეთანხმება ამ ჭეშმარიტებას. მთელი სული და გული თან გაჰყვა გმირთა ცხოვრებას, მათი ხასიათის ფსიქოლოგიურ ცვლილებებს და მსახიობების მიერ მართალი განცდით წარმოსახვის სიწრფელეს დაიმორჩილა.

სპექტაკლში იგრძნობა რეჟისორის მკაცრი ხელი, ყველაფერი მის ნებას ემორჩილება, პრემიერიდან დღემდე გასული დრო არ დასტყობია წარმოდგენის შინაგან დისციპლინას, პირიქით, გმირთა ხასიათები უფრო გამოიკვეთა, დაიხვეწა, ეს კი იმის ნიშანია, რომ ლოგიკური სიმტკიცით არის ურთიერთობები დაკავშირებული, სცენური ამოცანები მთელი სიცხადით დამუშავებული და ერთხელ და სამუდამოდ გარკვეულია.

მსახიობთა შესანიშნავ ანსამბლში მაინც გამორჩეულია მ. ჯაფარიძე. მისი გმირი სიკეთის სიმბოლო, მოსიყვარულე მეუღლე და სამაგალითო მშობელია. მსახიობის თამაშის ხასიათს თან ახლავს სანდომიანობა, ეთიკური სიდინჯე და შინაგანი ნათელი, რომელიც შეუძლებელია არ იწამო.

ძნელია პირველი სიყვარულით მინიჭებული მარცხი, ამას თან დაერთო დედის ავადმყოფობა ტრაგიკული დასასრულით, ტკივილს ტკივილი მიემატა...

მსახიობი მ. გორგილაძე სიყვარულით ძერწავს ვაჟის სახეს. აქ ემოციურ სიმკვეთრეს არ სცილდება ინტელექტუალური დამაჯერებლობა. სპექტაკლში კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ მ. გორგილაძე მართალი განცდის მსახიობია. დედისა და შვილის სახეებს სრულ ანსამბლად აერთიანებს თ. არჩვაძის მიერ განსახიერებული მამის როლი; მეტყველ პაუზებს, რბილ იუმორს, შინაგანი მონოლოგების აქტიურობას მსახიობი ზომიერი ტაქტით განაცდევინებს მაყურებელს. მისი გმირი ჭეშმარიტი ინტელიგენტია.

თავისი გმირის განსაკუთრებულ სიმართლეს მ. ტატიშვილი შეუფარავი პირდაპირობით გვთავაზობს. მისი გმირი მერკანტილურ გრძნობას მეტ უპირატესობას ანიჭებს, ვიდრე პირველი სიყვარულის შეურყვნელ განცდას.

„ძველ ვალსში“ მსახიობები თ. თეთრაძე, თ. ლასხიშვილი, ვ. ოსაძე, გ. გოგუა, გ. გელოვანი და ვ. თანდილაშვილი კ. მარჯანიშვილის თეატრის სამსახიობო სკოლის ტრადიციების საუკეთესო გამგრძელებლად მოგვევლინნენ. სპექტაკლში მათს აქტიორულ წარმატებებს განსაკუთრებული დონე აქვს, სადაც ყველა კომპონენტი სასურველ კონდიციამდეა აყვანილი.

მსახიობ ნ. ჩიქვინიძის გმირი სპექტაკლში ფაქიზი სულითა და საოცარი პოეტური გამჭირვალებით შემოვიდა,

სპექტაკლი „ძველი ვალსი“ მარჯანიშვილის თეატრის შესანიშნავ ნამუშევრებს მიემატა, ხოლო თვით პიესა წარმატებით იდგმება როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ.

ვ. ბრეგაძე,
თეატრმცოდნე.

◆

სურათებზე: სცენები სპექტაკლიდან „ძველი ვალსი“. ნინო — რესპუბლიკის სახალხო არტისტი მ. ჯაფარიძე; ოთარი — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თ. არჩვაძე.

მ. ბაბოვის ფოტო.

დიდი პოეტის სამყაროში

„ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემა ნათელა იანქოშვილის ილუსტრაციებით



გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ დაბეჭდა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის ნათელა იანქოშვილის ილუსტრაციებით.

პასტელით, ფერადი ფანქრითა და გუაშით 1963–1966 წლებში შესრულებული ეს 18 ილუსტრაცია პირველად დაიბეჭდა პოეტის 800 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოსულ ალბომში — „ვეფხისტყაოსნის“ დასურათება. ოთხი მხატვრის ნამუშევრებთან ერთად ამ ილუსტრაციებით იყო გაფორმებული აგრეთვე იპეი ფუკუროს მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც იაპონიაში გამოიცა.

ლიტერატურული ნაწარმოების გრაფიკული ინტერპრეტაციის საკითხი რთული ხასიათის გამო ერთმნიშვნელოვანი როდია. მით უმეტეს, როცა საქმე გვაქვს ისეთი მასშტაბის ლიტერატურულ ძეგლთან, როგორიც შოთა რუსთაველის პოემაა. ცნობილია, რომ საზოგადოებრივი და პირადი გამოცდილება, „ვეფხისტყაოსნის“ დასურათების არსებული ტრადიცია აქტიურად ზემოქმედებს ინტერპრეტაციის ხასიათსა და საშუალებებზე, რაც ჭეშმარიტი ხელოვანისათვის შემოქმედებითი გამარჯვებისაკენ სწრაფვის სტიმულია. ნათელა იანქოშვილმა გვერდი აუარა საყოველთაოდ ცნობილ მოვლენათა რთულ კომპოზიციურ ნატურსტერეოტიპებს და შექმნა „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა პორტრეტები, როგორც ზოგადადამიანურ ნიშანთვისებათა კონკრეტული მხატვრული სახეები.

ამგვარი მხატვრული ამოცანის გადასაწყვეტად საჭირო იყო სათანადო გამომსახველობითი საშუალებების გამოყენება. მხატვარი ირჩევს სიუჟეტის დეკორატიულ-სიბრტყობრივ გადაწყვეტას, რომელიც ემყარება მოცულობათა რიტმულ მონაცვლეობას, კონკრეტულ კონტურულ ხაზთა და ლაკონიურ ფერთა ჰარმონიას. ადამიანის გამოსახულებათა განზოგადებული პლასტიკური დამუშავება ავტორს ეხმარება შექმნას უკვდავი პოემის გმირთა მონუმენტური სახეები, რომლებიც ერთდროულად ეროვნულ და ზოგადადამიანურ თვისებებს ავლენენ. სწორედ ასე წარმოგვიდგენს შოთა რუსთაველიც თავის პერსონაჟებს, მხოლოდ ფატმან-ხათუნს ტოვებს გაურკვეველი წარმოშობის ადამიანად, და იანქოშვილთანაც ეს სახე მოკლებულია ეროვნულ ნიშან-თვისებას.

მხატვრულ სახეთა მონუმენტურ ჟღერადობას კიდევ უფრო აძლიერებს შექმნილი ხაზების შეგნებული სიძუნწე და ფერადოვანი გამის განზოგადებული ლაპიდარულობა. თუმცა იანქოშვილი გრაფიკულ ნამუშევრებშიც ფერმწერად რჩება, მაგრამ ზომიერების გრძნობასაც არ კარგავს. ამჯერად ფერი გრაფიკის გამომსახველობითი საშუალებათა დამხმარის როლში გვევლინება — ფორმათა ფერწერული პლასტიკა ხაზის მელოდიურ დენადობას ეხმიანება. ფიგურათა სილუეტი მკაფიოდ არის გამოხატული თითქმის ყოველთვის ნეიტრალურ, საოცარი ჟღერადობის თბილ შავ ფონზე, ზოგჯერ აქ მხატვარს შეგნებულად შემოაქვს იმ ეპოქის ქართველი კაცისათვის მუდამ უცილობელი ატრიბუტები — ხატი და ჯვარი („ავთანდილის ლოცვა“ „ასმათი“ და სხვ.), ზოგჯერ კი უშუალოდ ემორჩილება რუსთაველის მოწოდებას: „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის“... და საოცრად ძუნწი გამომსახველობითი საშუალებებით ძერწავს მონუმენტურ მხატვრულ სახეს, პლასტიკური განზოგადება გამოსახულებას ათავისუფლებს ყოველგვარი ატრიბუტებისაგან — მეტყველებს თვითონ ხაზი. ასეთია, მაგალითად, „თინათინი“. თეთრი, კონტურული ხაზის მოქნილი, თავისუფალი მოძრაობით მხატვარი ოსტატურად შემოწერს მეფე-ქალის ამაყ, მედიდურ ფიგურას. სურათის ღრმად გააზრებული არქიტექტონიკა. ერთი მთლიანი ფერითი ლაქა, სამეფო რეგალიებისა და სხვა ატრიბუტთა უარყოფა კიდევ უფრო აძლიერებს ფსიქოლოგიურ ნიუანსებს და ამასთანავე ღრმა ლირიზმით, სულიერი დინამიკურობით ავსებს გამოსახულებას.

ნ. იანქოშვილის ილუსტრაციებში მოძრაობის შთაბეჭდილებას ქმნის ნარნარად მომდინარე ხაზების რიტმი. თვით მათი დამუშავების მეთოდი, ფაქტურულობა ისეთ დაძაბულობას ანიჭებს ერთი შეხედვით სტატიკურ ფორმებს, რომ იგრძნობა ამ დაძაბულობის მზარდი ძალა, აფეთქებისათვის, არსებობის ფორმათა შეცვლისათვის მზადყოფნა ამგვარი შესაძლებლობის წინათგრძნობა ნაწარმოებთა შინაგან დრამატიზმზე მეტყველებს. თავისებურებას წარმოადგენს ისიც, რომ დაძაბული ხაზის დინამიკა არ უარყოფს მატერიალურ უძრაობას, მოცულობათა საგნობრივ სტატიკურობას. პლასტიკურ დინამიკურობას ნათელა იანქოშვილი ეძებს არა რომელიმე გამომსახველობითი ხერხის უპირატესობაში, არამედ მათი ურთიერთშეხამების საშუალებათა აღმოჩენაში, და საბოლოოდ კი — ადამიანზე ყურადღების გამახვილებით, რომლის არსი „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა პორტრეტებით ამაღლებული განწყობილების შექმნაა.

აღსანიშნავია, რომ ნ. იანქოშვილის ნამუშევრებში შეუძლებელია განათების წყაროს აღმოჩენა, მაგრამ აშკარაა, რომ ფიგურები განათებულია თბილი შუქით, მათ მიღმა კი — სივრცეა — საკვირველია პლენერის აღქმის ეს საოცარი უნარი, რომელიც სივრცეს ქაღალდის სიბრტყეზე აქცევს ხილვად სახეებად და ფორმებად. თითქოს ანათებენ თვით გამოსახულებანი — წარსულის გმირები, ჩვენი დროისათვის ესოდენ განუყოფელნი და მახლობელნი. იანქოშვილის ილუსტრაციები რუსთაველის პოემის ემოციურად დაძაბული ლირიკული გააზრებანია. აშკარაა, რომ ავტორი დაჯილდოებულია ცხოვრებისეულ დრამატულ სიტუაციათა ფილოსოფიური ჭვრეტის იშვიათი უნარით.

შოთა რუსთაველის პოემის ღრმა იდეურობა, ზნეობრივი ძალა მკაფიო და თავისებურ მხატვრულ ასახვას პოულობს ნათელა იანქოშვილის ილუსტრაციებში, რომელთა არსებითი ნიშანი მკაცრი მონუმენტურობა, მხატვრული ხედვის სიმახვილე და ეროვნული პათოსია.

ე. შავგულიძე,
ხელოვნებათმცოდნე.

მიდიან, რათა დაბრუნდნენ...

უკანასკნელმა მცხოვრებლებმა დატოვეს მტკვრის პირას მეტეხის პლატოზე მდებარე ძველი სახლები. ისინი კვლავ დაბრუნდებიან, როცა ამ შენობებს აღადგენენ და აქ თანამედროვე საყოფაცხოვრებო პირობებს შექმნიან.

თბილისის ნაკრძალი რაიონების აღდგენის სამუშაოები დაეკისრა თბილისის საქალაქო აღმასკომის სარემონტო-სამშენებლო ტრესტს. მიმდინარე წელს ტრესტი განაახლებს ექვსასზე მეტ ძველ საცხოვრებელ სახლს გორგასლის, ბარათაშვილისა და სხვა ქუჩებზე. აი რას ამბობს ამ მუშაობის შესახებ ტრესტის მმართველი ვ. ტყეშელაშვილი:

— ჩვენი ამოცანა ადვილი როდია, თავისებური კოლორიტი უნდა შევუნარჩუნოთ მრავალსაუკუნოვან ნაგებობებს და ამავე დროს მაქსიმალურად კეთილმოვაწყოთ ისინი. მერემონტეები თავდაპირველი სახით აღადგენენ ძველი სახლების ფასადებს, მაგრამ ცვლიან მის ინტერიერს, უფრო მყუდროს ხდიან მას. ბინები იქნება იზოლირებული, თანამედროვე კომუნალური სამსახურებით აღჭურვილი.

გარდა ამისა, წელს კაპიტალურად გავარემონტებთ სამასზე მეტ სკოლას, საბავშვო ბაღს, საავადმყოფოსა და პოლიკლინიკას. ამ მიზნით გამოყოფილია ოცი მილიონ მანეთზე მეტი, — რაც შარშანდელს მნიშვნელოვნად აღემატება.

— თბილისელები სულ უფრო ჩივიან რემონტის დაბალი ხარისხის გამო, ბევრი სახლი, განსაკუთრებით ქალაქის ისტორიული განაშენიანების რაიონში, ავარიულ მდგომარეობაშია. რითია ყოველივე ეს გამოწვეული?

— ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი გახლავთ ის, რომ კარგად არ არის ორგანიზებული ქალაქის სარემონტო სამსახური. დღეს მარტო თბილისის საქალაქო აღმასკომის ხაზით მოქმედებს ოცზე მეტი სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაცია, თუ არ ჩავთვლით საუწყებო ორგანიზაციებს. არ არის სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ერთიანი ხელმძღვანელობის სისტემა, ერთიანი დაგეგმვა. დაგეგმვისას არ ითვალისწინებენ სახლების ცვეთის პროცენტს. სახსრები იქსაქსება ბევრ ობიექტზე. სარემონტო სამუშაოები ხშირად „ულუფებად“ ფინანსდება, რის გამოც უარესდება ხარისხი.

ამჟამად საცხოვრებელი სახლების კაპიტალური რემონტი და რესტავრაცია შერჩევით ხდება. ისეთ ქალაქში, როგორიც თბილისია, აღდგენით-კომპლექსურმა რემონტმა უნდა მოიცვას მთელი ქუჩები და მიკრორაიონები. ამასთან დაკავშირებით საჭიროა სამანევრო საცხოვრებელი ფონდის შექმნა. იგი საჭიროა ხალხის დროებითი შესახლებისათვის. ეს ითქვა XXXVII საქალაქო პარტიულ კონფერენციაზეც, მაგრამ ამისათვის ჯერ არაფერი გაკეთებულა.

ჩვენი აზრით, დროა გავაერთიანოთ ქალაქის სარემონტო სამსახური ერთიან რგოლად, გადავიყვანოთ იგი ინდუსტრიულ საფუძველზე, აღვჭურვოთ თანამედროვე ტექნიკით. ამჟამად მცირე მექანიზაციის საშუალებანიც კი არ გვყოფნის. ირღვევა სარემონტო მოედნების საშენი მასალებით მომარაგების ნორმები, ხოლო მონათესავე ორგანიზაციათა ხელფასის ფონდების სხვაობა სამუშაო ძალის დენადობას იწვევს. თუ მოწესრიგდება ეს და სხვა საკითხები, გაუმჯობესდება რემონტის ხარისხი, მრავალი ათეული წლით გაიზრდება თითოეული შენობის ხანგამძლეობა.

ა. გელავა.

● ●

კომენტარი

დღეს თბილისში 17 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საერთო ფართობის მქონე დაახლოებით 57 ათასი საცხოვრებელი სახლია. ციფრი დიდია, მაგრამ იგი ვერ გვაძლევს სწორ წარმოდგენას რეალური ვითარების შესახებ. ბინების პრობლემა ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი. სახლების უმრავლესობა დაძველებულია, მოკლებულია საყოფაცხოვრებო პირობებს, საჭიროებს საფუძვლიან შეკეთებას. ამიტომ განსაკუთრებით მწვავედ დგას მათი აღდგენის, ადამიანებისათვის საუკეთესო პირობების შექმნის საკითხი. სამწუხაროდ, ამ მხრივ თბილისში სერიოზული შეცდომებია დაშვებული. კაპიტალური რემონტის ჩამორჩენამ ის გამოიწვია, რომ აუთვისებელი დარჩა დიდი თანხა — 163 მილიონი მანეთი.

მაგრამ გარდატეხა აუცილებლად უნდა მოხდეს, რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო დადგენილება „საბინაო ფონდის ექსპლოატაციისა და რემონტის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. მომავალი წლიდან გათვალისწინებულია შევქმნათ ქალაქის ერთიანი სარემონტო-სამშენებლო და საბინაო-საექსპლოატაციო სამსახური, განვამტკიცოთ მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გავაუმჯობესოთ საცხოვრებელი სახლების ექსპლოატაციისა და რემონტის სამუშაოთა დაგეგმვისა და დაფინანსების სისტემა. სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციების საქმიანობის გაუმჯობესებისა და პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის საავტორო ზედამხედველობა წესდება. მშენებლებსა და მერემონტეებს ეკისრებათ მოვალეობა აღმოფხვრან ყველა ხარვეზი და დეფექტი, რომლებიც გამომჟღავნდება საცხოვრებელი სახლების ექსპლოატაციის პროცესში ორი წლის მანძილზე.

ზ. სარალიძე,
სახალხო დეპუტატთა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე. (საქინფორმი).

ექსპერიმენტი

◆

ჩასაფრებული მაიმუნები

როგორც კი ვ. ტკაჩოვმა ტყის მდელოზე დაადგა ფეხი, ყოველი მხრიდან მაიმუნები შემოეხვივნენ. თავდასხმა მოულოდნელი და თავზედური იყო. ტყის ყაჩაღებმა შარვლის ჯიბეები გადმოუბრუნეს, მხრიდან ზურგჩანთა ჩამოგლიჯეს და სიამოვნებით მიირთვეს ტურისტის საუზმე. და მხოლოდ მაშინ გაახსენდა ტურისტს ფირფიტა წარწერით: „აკრძალული ზონა: ტყეში მაიმუნები არიან“.

...აი უკვე მეხუთე წელია ტყით დაფარულ მთებში, რომლებიც სოხუმს ჩრდილოეთიდან შემოსჯარვიან, მაიმუნები ცხოვრობენ. ისინი აქ გაუშვეს სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის ინსტიტუტის მეცნიერებმა. თავდაპირველად ჯოგში, რომელსაც მრისხანე მამალი მაიმუნი მეტსახელად „იატა“ მეთაურობს, შედიოდა ეთიოპიიდან და კენიიდან ჩამოყვანილი 34 მაიმუნი. ახლა მათი რიცხვი 116-მდე გაიზარდა, აფხაზეთის სუბტროპიკული ტყეების პირობებში აფრიკული მაიმუნების აკლიმატიზაციის მეცნიერული ექსპერიმენტი წარმატებით დაგვირგვინდა.

ექსპერიმენტის ერთ-ერთი ავტორი, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ვ. ჩალიანი მოგვითხრობს: როგორც დაკვირვებებმა ცხადყო, პავიან-ჰამადრილები კარგად იტანენ სიცივეს, 1975-1976 წლების სუსხიან ზამთარში კი, როცა მთაში დიდთოვლობა იყო, ჯოგში ავად არ გამხდარა არც ერთი მაიმუნი, ძლიერი სიცივეების დროს ისინი სპეციალურ პატარა სახლებში ცხოვრობენ.

ადამიანებთან შეხვედრა მაიმუნებს მუდამ ახარებთ. თუმცა ვ. ტკაჩოვს სრული უფლება აქვს მათზე განაწყენებული იყოს, მაიმუნებს მისთვის ცუდი არ უნდოდათ. ამ დაუდეგარი ცხოველებისათვის ეს მხოლოდ თამაში იყო.

თ. ჯიბუტი.

ქარაგმები

- მფრინავს ვინ ჩივის, ჩვეულებრივ თეფშებსაც ვერ მივაკვლიეთ.
- ცინიზმი მალფუჭადი ნივთიერებაა.
- ფრთა ცინატრო და ფრენა არა?
- რაც შეგიძლია, ბედი იმაზე მეტს ვერ გაგიკეთებს.
- უქორწინო მოგზაურობასაც არა უშავს რა!
- ნეტა, სირცხვილიც მზესავით გვეკიდებოდეს!
- მოუცლელობას ზოგჯერ უსაქმურიც უჩივის.
- კაცობის წიგნი თუ არ წაიკითხე, წყლის ნაყვა კიდევ დიდხანს მოგიწევს.
- კიდევ კარგი, რომ მადლიერება უმადურობაზე ადრე იბადება და გვიან კვდება.
- ყველა-ყველა, მაგრამ სიყვარული არ უნდა დააზღვიო.
- განზიდულობის კანონი თავის ნიუტონს ამაოდ ელის.
- კი მაკლებ, მაგრამ იცოდე: ზედმეტი არც მე მაქვს.
- არტახი თუ მოუჭირე, რაღა სურვილია.
- სიცოცხლე თქვენი შესაძლებლობის პერსონალური გამოფენაა.

ზ. კაციაშვილი.

თბილისური მოტივები



ა. საკაოვის ფოტო.

ყაბახი

ცხადდება — ორკვირიანი „ანტრაქტი“

გუშინ გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის 5 მატჩი, რითაც დამთავრდა მე-15 ტური. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლების შეხვედრა: „დინამო“ (მნ.)-„სპარტაკი“ და „ტორპედო“-„შახტიორი“. ორივე მატჩში ერთნაირი ანგარიშით — 2:1 გაიმარჯვეს სტუმრებმა.

სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „ყაირათი“-„ზენიტი“ — 1:0, „ზარია“-ცსკა — 0:3, სკა-„ფახთაქორი“ — 1:3.

თხუთმეტი ტურის შემდეგ გათამაშების ცხრილი ასე გამოიყურება:

გათამაშების ცხრილი
უმაღლესი ლიგა

	მ	ფ	წ	ბ	ქ
„დინამო“ (თბ.)	10	4	1	25-8	24
„შახტიორი“	10	4	1	23-6	24
„დინამო“ (კ.)	9	3	3	20-9	21
„სპარტაკი“	8	5	2	18-10	21
„დინამო“ (მ.)	8	4	3	16-8	20
„დინამო“ (მნ.)	7	4	4	20-13	18
„ზენიტი“	6	3	6	18-20	15
ცსკა	6	2	7	20-15	14
„არარატი“	3	8	4	13-14	14
„ლოკომოტივი“	3	7	5	17-18	13
„ყაირათი“	5	2	8	17-24	12
„ფახთაქორი“	4	4	7	17-25	12
„ჩერნომორ.“	4	4	7	12-16	12
სკა	2	8	5	14-23	12
„ტორპედო“	4	3	8	13-18	11
„ზარია“	3	5	7	15-21	11
„კრ. სოვეტოვი“	3	2	10	8-23	8
„ნეფთჩი“	2	4	9	6-21	8

შეგახსენებთ ჩემპიონატში დაწინაურებული გუნდების მიერ პირველ წრეში ჩასატარებელ შეხვედრებს, რათა უფრო თვალნათლივ წარმოიდგინოთ მათი პერსპექტივები: თბილისის „დინამო“ სტუმრად ითამაშებს „არარატთან“ და შინ მიიღებს „ნეფთჩის“; „შახტიორი“ ორივე მატჩს — „ჩერნომორეცთან“ და „ზარიასთან“ — მეტოქის მინდორზე ჩაატარებს; კიევის „დინამო“ ვოროშილოვგრადში შეხვდება „ზარიას“, ხოლო „ჩერნომორეცს“ თავად უმასპინძლებს; მოსკოვის „დინამო“ ორივე მატჩს მოსკოვში გამართავს — „ტორპედოსთან“ და „ლოკომოტივთან“; მოსკოვშივე ჩაატარებს ორივე შეხვედრას „სპარტაკი“ — ცსკას-თან და „ტორპედოსთან“. რაც შეეხება მინსკის „დინამოს“, იგი შინ მიიღებს „ყაირათს“ და სტუმრად ივასპარეზებს „ფახთაქორთან“.

მეთექვსმეტე ტურის შეხვედრები 7 ივლისს დაიწყება, მეჩვიდმეტე ტურისა — 11 ივლისს. მანამდე კი ჩემპიონატში ცხადდება ორკვირიანი „ანტრაქტი“. ამ პერიოდში საბჭოთა ნაკრები ჯერ დანიაში გამართავს ამხანაგურ მატჩს მასპინძლებთან (27 ივნისს), შემდეგ კი ევროპის ჩემპიონატში სტუმრად ივასპარეზებს ფინელებთან (4 ივლისს).

დ. ე. თავაძე

მოულოდნელად გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის გმირი, დიდი სამამულო ომის მონაწილე, გადამდგარი მაიორი, სკკპ წევრი 1943 წლიდან დავით ელიზბარის ძე **თავაძე**.

დ. თავაძე დაიბადა 1916 წელს ბათუმელი მუშის ოჯახში. 1937 წელს იგი კომკავშირის რაიკომის რეკომენდაციით შევიდა ბათუმის აეროკლუბში, სადაც წარმოებას მოუწყვეტლივ სწავლობდა. აეროკლუბის დამთავრების შემდეგ იგი ჩარიცხეს ხერსონის ინსტრუქტორ-მფრინავთა ავიასკოლაში, რომელიც 1938 წელს დაამთავრა და 1940 წლამდე ხერსონის მფრინავთა სკოლის ინსტრუქტორად მუშაობდა.

როცა ჩვენს სამშობლოს მკაცრი განსაცდელის ჟამი დაუდგა, დ. თავაძე მისივე თხოვნით გაიგზავნა ფრონტზე, სადაც განვლო გზა საიერიშო ავიაპოლკის რგოლის მეთაურიდან ესკადრილიის მეთაურამდე. დიდი სამამულო ომის წლებში დავით თავაძე სტალინგრადის, სამხრეთის, ჩრდილოეთ კავკასიის, პირველი ბალტიისპირეთისა და ლენინგრადის ფრონტების ყველაზე ძნელ უბნებზე იბრძოდა.

საბჭოთა კავშირის გმირმა დ. თავაძემ საომარი მოქმედების დროს 155 წარმატებული საბრძოლო გაფრენა განახორციელა, მოწინააღმდეგის დიდძალი ცოცხალი ძალა და ტექნიკა მოსპო. კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დიდად დააფასეს დავით თავაძის დამსახურება სამშობლოს წინაშე. მას მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება, დაჯილდოებული იყო სამი წითელი დროშის ორდენით, ალექსანდრე ნეველის ორდენით, პირველი ხარისხის სამამულო ომის ორდენითა და მედლებით.

1946 წელს შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნის შემდეგ დ. თავაძე მუშაობდა სოხუმის აეროკლუბის უფროსად, საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ფლოტის სამმართველოს სოხუმის აეროფლოტის უფროსად და აქტიურად მონაწილეობდა ჩვენი ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაში.

კომუნისტი დ. თავაძე ყოველთვის დიდად მომთხოვნი იყო საკუთარი თავისადმი, გულისხმიერი და გულითადი — იმ ადამიანებისადმი, რომელთა შორის მუშაობდა და ცხოვრობდა.

დავით თავაძის ნათელი ხსოვნა სამარადისოდ დარჩება მისი მეგობრებისა და ყველას გულში, ვინც მას იცნობდა.

საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილიდანვე დაგეგმეთ თქვენი დღე!

ნახეთ!

ტელევიზიით

მხატვრული ფილმები: კინოს მოყვარულთათვის (13,30 საქ. ტ. I პრ.), „გზა მშვიდობისა, ჯაყო“ (15,45 საქ. ტ. I პრ.), „თემური და მისი რაზმი“ (16,00 საქ. ტ. II პრ.), „პირველი მერცხალი“ (19,10 საქ. ტ. II პრ.), „პარმის სავანე“ II სერია (22,35, ც. ტ. I პრ.), „დილით ადრე“ (22,40 ც. ტ. IV პრ.).

სპორტი: საერთაშორისო შეხვედრა მძლეოსნობაში სსრკ-ისა და გდრ-ის ნაკრებ გუნდებს შორის (13,50 საათიდან 14,25 საათამდე და 21,05 საათიდან 22 საათამდე).

კინოთეატრებში

„გაქცევა განთიადისას“ (ქრონიკის წითელი დარბაზი — 7-9 ს.), „დიდი სამამულო მე-13-14 სერია (ქრონიკის წითელი დარბაზი — 3-5), „ტაიგის იმპერატორის აღსასრული“ (საქართველოს მწვანე დარბაზი — 5,30-7-8,30), „სასწრაფო გამოძახება“ (ქართული ფილმის მწვანე დარბაზი — 1-3-5-7-8,30), „წითელი ძახველი“ (კომკავშირელი — 12-2-4-6-8-9,40), „უბედური შემთხვევა“ (თანამგზავრი — 1-2,30), „იმედის ვარსკვლავი“ I, II სერია (რუსთაველი — 11-1,30-4-6,30-9, ოქტომბერი — 10-12,30-3-5,30-8), „ესენია“ I, II სერია (თანამგზავრი — 4-6,30-9, ყაზბეგი 6-9), „ბლეფი“ (ნაკადული — 3-5-7-9, ოცდაექვსი კომისრის — 12-2-4-6-8), „კაპიტანი“ (მეგობრობა — 2-4-6-8-9,30, ოცდაექვსი კომისრის — 11-1-3-5-7-9, თბილისი — 1-3-5-7-9, კოლხიდა — 7-9), „კლეოპატრა“ I, II სერია (საქართველოს წითელი დარბაზი — 11-2-5-8, კოლხიდა — 11-2-5-8, სპარტაკი, მშენებელი, ისანი — 12-3-6-9, ამირანი — 9,30-12,30-3,30-6,30-9,20).

დაესწარით!

თეატრებში

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **ჟიზელი** (22-ე აბონ. III წარმ.); შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **პეპო** (დილით), **საბრალდებო დასკვნა** (საღამოს); კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **შთამომავლობა** (დილით), **ძველი ვალსი** (საღამოს); ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **მე, ცოლი და სიდედრი**; რუსთავის სახელმწიფო დრამატული (რკინიგზელთა სახლში, პლეხანოვის გამზ. № 127-ა) — **დარაბებს მიღმა გაზაფხულია.**

● ●

საკონცერტო დარბაზებში

ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში 20 საათზე გაიმართება **საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული სიმფონიური ორკესტრის კონცერტი.** პროგრამაშია მენდელსონისა და ბეთჰოვენის ნაწარმოებები.

სპორტულ ბაზებზე

თბილისის ზღვაზე, 12 საათზე გაგრძელდება **საიალქნო სპორტში** საქართველოს ჩემპიონატის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება, რომელიც საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადას ეძღვნება. ჩემპიონატში მონაწილეობენ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ქალაქების ნაკრები გუნდები.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434

თბ 07207

საქართველოს კპ ცკ-ს გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხომარაულის 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17